# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№66 (25.090) შაბათი, 24 - 26 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 22 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი ამბებისა

შეფასებები, რაც ევროკომისიისგან მოვისმინეთ, ადასტურებს, რამხელა შრომა გასწია საქართველოს ხელისუფლებამ რეკომენდაციების შესრულებისთვის - ჩვენ და მოლდოვას სამი რეკომენდაცია გვაქვს შესრულებული და ეს მიღწევაც მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ გარემოს, რომელშიც პარლამენტს უწევდა მუშაობა, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საქართველოს შესახებ ევროკომისიის ზეპირ ანგარიშზე საუბრისას. მისი თქმით, ოქტომბრის ბოლოსთვის, შემდგომი საქმიანობიდან გამომდინარე, ყველა რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვლება.

* * *

საქართველოს ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალიხან სმაილოვი ეწვია. შედგა საქართველოსა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრების პირისპირ და გაფართოებულ ფორმატებში შეხვედრა. როგორც ალიხან სმაილოვმა განაცხადა, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს. „საქართველოს და ყაზახეთს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ევროპასა და აზიას შორის ტრანსპორტის კუთხით," - აღნიშნა მან.

* * *

აშშ მიესალმება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ნიკა გვარამიას შეწყალებასთან დაკავშირებით. ეს საქმე პრობლემატური იყო თავიდანვე. პრეზიდენტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი წვლილია საქართველოში პოლარიზაციის და დაყოფის შესამცირებლად, - განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა. სალომე ზურაბიშვილმა „მთავარი არხის" ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია 22 ივნისს შეიწყალა. მედიამენეჯერი გასული წლის 16 მაისს დააკავეს, თავისუფლების აღკვეთა კი 3 წლითა და 6 თვით განესაზღვრა.

* * *

საქართველოს ეროვნული ბანკის პირველ ვიცე-პრეზიდენტად სებ-ის საბჭომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი ნათია თურნავა აირჩია. „ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეროვნული ბანკი კვლავინდებურად დამოუკიდებელი, ძლიერი ინსტიტუციაა," - განაცხადა მან არჩევის შემდეგ. პარლამენტის მიერ ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებით, ეროვნულ ბანკში პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოზიცია განისაზღვრა. სებ-ის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას პირველი ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს.


მოამზადა
ია შველიძემ


# მთავრობამ ტრაგიკულად დაღუპული თეა ვადაჭკორიას ოჯახს ბინა გადასცა


მანანა ტაკიძე 593 10 15 17


*წარმატებულ ტურისტულ სეზონზე, ბათუმის აეროპორტში გაორმაგებულ საერთაშორისო ვიზიტებსა და ქვეყანაში ტურიზმიდან და მოგზაურობებიდან მიღებულ გაზრდილ შემოსავლებზე ისაუბრეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე*



მთავრობის თავმჯდომარემ რეგიონში საერთაშირისო ვიზიტებისა და ფრენების გაზრდილ მაჩვენებელზეც ისაუბრა და ივნისში სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი საერთაშორისო ფრენები დააანონსა.

თორნიკე რიჟვაძემ ზღვის წყლის ხარისხის განხორციელებულ კვლევაზე და გაუმჯობესებულ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება. როგორც მან აღნიშნა, შავი ზღვის კვლევა განხორციელდა როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველოს მიერ. მათი დასკვნის თანახმად, ზღვის წყლის ხარისხი გაუმჯობესებულია და სრულ თანხვედრაშია დასაშვებ ნორმებთან. შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს 9 სადგურზე ყოველთვიურად აწარმოებენ, რითიც ისაზღვრება ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები მარილიანობის ჩათვლით, ასევე, წყალში ჟანგბადისა და ბიოგენური ელემენტების შემცველობა, ხორციელდება მძიმე მეტალებისა და ორგანული დამაბინძურებლების კვლევა ზედაპირულ და ფსკერისპირა ფენაში. ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, ზღვის წყლის ხარისხი მთელ პერიმეტრზე დასაშვები ნორმის ფარგლებშია და იგი გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით გაუმჯობესებულია.

მთავრობის თავმჯდომარემ ბოლო დროს გახმაურებულ თემაზეც გააკეთა კომენტარი.

- ყველამ ნახა, რომ მთავრობის ანგარიშის განხილვა რადიკალებთან არის ჩვეულებრივი წყლის ნაყვა, ვინაიდან მათ არ აინტერესებთ, რეალურად რა კეთდება აჭარაში და არც შედის მათ ინტერესებში აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობა. ნაცვლად ამისა, ჩვენ ვიხილეთ კამპანია, თითქოს ჩვენს გმირ მებრძოლებს, საამაყო ჯარისკაცებს შეურაცხყოფა მივაყენე. კიდევ ერთხელ, მსურს, დავუდასტურო მათ ჩემი პატივისცემა და ქედი მოვიხარო თითოეული სამხედროსა და მათი დედების წინაშე, რომლებმაც გმირი ვაჟკაცები გაუზარდეს ჩვენს სამშობლოს. სწორედ მათი ვაჟკაცობით, თავგანწირვითა და დაღვრილი სისხლით გადავრჩით და არა მხდალი და სიმულიანტი სააკაშვილით, რომელმაც ტერიტორიები დაგვაკარგინა, მიატოვა ქართული ჯარი და ხალხი, ბოლოს კი, ნებაყოფლობით უარი განაცხადა საქართველოს მოქალაქეობაზე. ჩემი შეფასება ლაჩრობასთან დაკავშირებით, სწორედ მას და მის ამფსონებს ეკუთვნის, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული თეა ვადაჭკორიას ოჯახს ბინა გადაეცემა. იგი წლების განმავლობაში განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობდა.

- ჩვენ, ყველა შეგვძრა ტრაგედიამ, რომელმაც დაგვაკარგინა ძალიან ღირსეული კოლეგა. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული თეა ვადაჭკორიას ოჯახს, მცირეწლოვან შვილებს საბინაო ფონდიდან გადაეცეს საცხოვრებელი ფართი, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

22 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამ საკითხზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობით გრძელდება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა. პროგრამა მოიცავს ორ ღონისძიებას - სოფლად მეწარმეობის განვითარებას და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას, რისთვისაც 4 904 500 ლარია გათვალისწინებული.

საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიების ფარგლებში, შერჩეულია 1 424 ბენეფიციარი, 820 ბენეფიციარის პროექტი კი უკვე თანადაფინანსებულია. სოფლად მეწარმეობის განვითარების ღონისძიების ფარგლებში, 2022 წელს დასაფინანსებლად 13 წარმატებული პროექტი შეირჩა, მიმდინარე წელს პროექტების დასაფინანსებლად განაცხადების მიღება კი ივლისში დაიწყება, რომლის ბიუჯეტი 2 065 228 ლარით განისაზღვრა.

## მევენახეობა-მეღვინეობის პირველი რეგიონალური კონფერენცია

2

## დარდობს მომავალი პენსიის, ამ ქვეყანაში უპერსპექტივობისა და პოლიტიკოსთა გაუმაძღრობის გამო

7

## არსებობს შანსი, რომ ოქტომბერში ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცეს

3

## სამყარო საკუთარი თავის პოვნაში ეხმარება

4


ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ძირითადი აქცენტები კვლავ ინფრასტრუქტურულ, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების მიმართულებებზე გაკეთდება



*უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე უძღვებოდა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია განიხილეს. შესაბამისი მოხსენებები ფინანსთა და ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა ჯაბა ფუტკარაძემ და ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინეს.*

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა 2024 -2027 წლების პრიორიტეტების ძირითად პარამეტრებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, ძირითადი აქცენტები კვლავ ინფრასტრუქტურულ, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლებისა და სხვა მიმართულებებით განსახორციელებელ პროექტებზეა გადატანილი, სიახლეებია სოფლის მეურნეობის სფეროში. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, 2024 წლისთვის, საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბებს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ პროგრამებზე ისაუბრა ნინო ნიჟარაძემ. მინისტრის განცხადებით, უწყების მომავალი წლის ბიუჯეტი 40 მილიონ ლარს გადააჭარბებს, აქედან 18 მილიონ ლარზე მეტი ჯანდაცვას, ხოლო 15 მილიონზე მეტი სოციალური დაცვის მიმართულებით გაიხარჯება. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სიახლეებზე და აღნიშნა, რომ ყველა პროგრამა მოსახლეობის საჭიროებებზეა ორიენტირებული.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

**აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**

# მევენახეობა-მეღვინეობის პირველი რეგიონალური კონფერენცია

**დარინა ბაბაიძე 514 22 22 80**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარის პირველი რეგიონალური კონფერენცია „მევენახეობა-მეღვინეობა“ გაიმართა*

შეხვედრის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა საქართველოს ველური ვაზის მნიშვნელობაზე, აჭარული ვაზის კულტურულ ჯიშებსა და ვაზის კადასტრზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა არსებულ პროგრამებზე ისაუბრეს, დარგის აქტუალურ საკითხებზე წარადგინეს კვლევები, ასევე, განიხილეს მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით რეგიონში განხორციელებული პროექტები. კონფერენციის მონაწილეებმა სამომავლო გეგმებიც დასახეს და საერთო პროექტებზე მუშაობის სურვილიც გამოთქვეს.



კონფერენციის დასრულების შემდეგ ჩვენს კითხვას უპასუხა ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველოს უფროსმა, საქართველოს ტექნიკური და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების პროფესორმა **დავით მაღრაძემ**.

**- საქართველოსთვის რამდენად მნიშვნელოვანია ველური ვაზის შესწავლა და დაცვა?**

- ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ველური ვაზი წარმოადგენს ჩვენი ვაზის ჯიშების წინაპარს, წითელი წიგნის მცენარეს და ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მისი შესწავლა, ასევე დაცვა. ამის შედეგებზე გვქონდა დღევანდელ კონფერენციაზე საუბარი. კონფერენციის ფარგლებში წარვადგინეთ უკანასკნელ წლებში შესრულებული ჩვენი კვლევები, მეორე საკითხი შეეხებოდა ვაზის აჭარულ ჯიშებს, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიმართულებით. კონფერენციაზე ცალკე მიმართულება გვქონდა ვენახის კადასტრის სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც წელს სრულდება აჭარის რეგიონში. ერთად შევქმნათ ვენახების კადასტრი და ხელი შევუწყოთ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას!

კონფერენციის მიზნებზე ჩვენთან კომენტარი გააკეთა ქართული ვაზის სანერგე მეურნეობა „იოსების ვაზის სამშობლოს“ დამფუძნებელმა, ზემოაღნიშნული კონფერენციის ორგანიზატორმა **იოსებ მიქელაძემ**.

- აჭარის რეგიონალური კონფერენცია „საქართველოს ველური ვაზი, აჭარის კულტურული ჯიშები და მიწის კადასტრი“, მიზნად ისახავს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში მოღვაწე პიროვნებებისათვის საქართველოს ველური ვაზის შესახებ 2022 წელს გამოცემული კვლევის შედეგების გაცნობას, ასევე, აჭარული ვაზის კულტურული ჯიშების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ცნობიერების ამაღლებას, ასევე, საქართველოში ვაზის კადასტრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მეწარმეებისათვის მიწოდებას იმისთვის, რომ მევენახეები და მეღვინეები ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას, თუ რა არის ვენახის კადასტრი, რატომ გვჭირდება, როგორ იქმნება, ვისთვის არის საჭირო.

# ლიდერის როლი – პროფესიული განათლების რეფორმების წარმატებაში

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

***„ლიდერობა პროფესიულ განათლებაში“ - ასე ჰქვია კონფერენციას, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისა და ელექტრონულ ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ორგანიზებით, პირველად ჩატარდა საქართველოში.***

კონფერენციის მიზანია საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმების წარმატებაში პროფესიული განათლების ლიდერის როლის განსაზღვრა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიან მართვაზე მსჯელობა.

- აღნიშნული კონფერენციით ძალიან მნიშვნელოვანი თემა წამოვწიეთ, რამეთუ ყველამ ვიცით, როგორი აქტუალურია დღეს საქართველოში პროფესიული განათლება. თუმცალა, ჩვენ ამ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი რეფორმის მომსწრენი გავხდით, ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ და დღეს პროფესიული განათლება ერთ-ერთი ღირსეულთაგანია. ჩვენ თამამა წამოვწიეთ და გადავწყვიტეთ, არა კონკრეტულ პროგრამებზე და მასწავლებელზე ვისაუბროთ, არამედ პროფესიული განათლების მართვის აქტუალურ საკითხებზე - ვინ უნდა იყოს და როგორი უნდა იყოს პროფესიული განათლების ლიდერი, რადგან ვთვლით, რომ ლიდერის კომპეტენციაზე, უნარებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, უპირველეს ყოვლისა კი ყველა იმ რეფორმის წარმატება, რომელიც დღეს საქართველოში ხორციელდება აღნიშნული მიმართულებით. ჩვენი სურვილია, ვინც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელმძღვანელობს ან უხელმძღვანელებს, იყოს პროფესიული განათლების ლიდერი, - განაცხადა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა მანანა მიქელაძემ.



კონფერენციას, რომელიც ჰიბრიდულ ფორმატში წარიმართა, საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ხელმძღვანელები და განათლების ექსპერტები ესწრებოდნენ.

- პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე არა მარტო ჩვენ ვსაუბრობთ, ეს ქვეყნის მიერ დეკლარირებული და აღიარებული პრიორიტეტია იმიტომ, რომ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური განვითარების მაღალი დონეა, განსაკუთრებით ევროპაში, შეერთებულ შტატებში, ამას განაპირობებს ძალიან განვითარებული პროფესიული განათლების სისტემა. სწორედ პროფესიული განათლება აწვდის შრომით ბაზარს იმ სამუშაო ძალას, რომელიც ეკონომიკის განვითარებას სჭირდება. რაც შეეხება იდეას, ლიდერების საკითხი წამოწეულიყო, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხშირ შემთხვევაში, არის წამომწყები გარკვეული თემებისა და არ მიკვირს, რომ პირველად ამ თემაზე დღეს ამ უნივერსიტეტში ვიწყებთ საუბარს. საზოგადოებას მოეხსენება იმ მნიშვნელოვანი რეფორმების, ინვესტიციებისა და ძალისხმევის შესახებ, რომლებიც პროფესიულ განათლებაში ხორციელდება და თუ ამ ძალისხმევას ადგილზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ დახვდება სწორი მიმღები ლიდერის სახით, მაშინ ყველაფერი წყალში ჩაიყრება, ამიტომაც დღეს ჩვენ ვსაუბრობთ

იხ. მე-7 გვ.

# ბათუმში დაჯარიმებისა და პარკირების საფასურის გადახდის წესში ცვლილებებია

**მართა იბერიელი 27 48 93**

ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოსაქვეყნებლად საკუთარ ვებგვერდს გამოიყენებს, რომელიც ჯერ არ ამოქმედებულა. ამავე ვებგვერდზე იქნება შესაძლებელი პარკირების საფასურის გადახდა, გადამოწმება და ინფორმაციის მიღება ჯარიმების შესახებ.

ამ დრომდე ინსპექცია „ავტოტრანსპორტის“ ვებგვერდს იყენებდა, თუმცა ოფიციალური განცხადების თანახმად, სერვერის დაზიანების გამო, 2023 წლის თებერვლიდან ეს საიტი გათიშულია, ამიტომ ბათუმში პარკირების საფასურის გადახდას მძღოლები ვერ ახერხებენ. შესაბამისად, უკვე 5 თვეა ამ საფასურს ვერავინ იხდის და ვერც ინსპექცია აჯარიმებს პარკირების საფასურის გადაუხდელობისთვის.

მუნიციპალურმა ინსპექციამ ახალი ვებგვერდი აღნიშნული მიზნით რომ გამოიყენოს, საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილება უნდა შევიდეს, ცვლილების პროექტი კი ბათუმის საკრებულოში შეტანილია და საკითხს 2023 წლის 27 ივნისის სხდომაზე განიხილავენ.

პროექტის მიხედვით, ახალი წესი 2023 წლის 1-ელი ივლისიდან ამოქმედდება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საკრებულო მას ამოქმედების ვადის შეუცვლელად დაამტკიცებს. აქედან გამომდინარე, 1-ელი ივლისიდანვე გამართული უნდა იყოს ინსპექციის ახალი ვებგვერდიც და წესით, პარკირების საფასურის გადახდის პრობლემაც უნდა მოგვარდეს.

ცვლილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე, ან ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესში შედის, სადაც ჩაიწერება, რომ „პირისათვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საჯაროდ (ინსპექციის) ოფიციალურ ვებგვერდზე, შესაბამის ველში“.

საკრებულოში, ასევე, წარდგენილია მეორე პროექტიც, რომელიც გარკვეულ ცვლილებებს დაჯარიმების წესში ითვალისწინებს. აღნიშნულ წესში საკრებულომ ცვლილებები 2023 წლის 19 მაისსაც შეიტანა.

# არსებობს შანსი, რომ ოქტომბერში ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცეს

*ევროკომისია ამ კვირაში დაასრულებს იმის შეფასებას, თუ რამდენად იმსახურებენ ევროკავშირში გაერთიანებას საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. ახალი შეფასება 21 ივნისს ჯერ ბრიუსელში მყოფ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს გააცნეს, შემდეგ კი მას სტოკჰოლმში, ევროკავშირის ქვეყნების ევროპის საქმეთა მინისტრები, ევროკავშირის საბჭოს არაფორმალურ შეკრებაზე განიხილავენ*



დეტალური შეფასების მოლოდინი ჯერ საკმაოდ ნაადრევია, რადგან ამას წინ უძღვის ერთგვარი შუალედური მიმოხილვა, სანამ იმ დასკვნამდე მივლენ, რომლის წარდგენასაც ევროკომისია ოქტომბრის მეორე ნახევარში აპირებს, შესაბამისად, ოქტომბრის დოკუმენტი უკვე ანგარიშგასაწევი და საფუძვლიანი იქნება, რაც მთავარია, მასში შევა გადამწყვეტი რეკომენდაციები - როგორ უნდა გაგრძელდეს ქვეყნების აღნიშნული სამეულის (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ევროკავშირთან თანამშრომლობა. ამ რეკომენდაციებს ევროკავშირის წევრი ქვეყნები დეკემბერში ან დაამტკიცებენ, ან უარყოფენ.

ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ საქმეში ჩახედულ ოფიციალურ პირებს თუ დავუჯერებთ, ევროკავშირი წლის ბოლოს უკრაინას და მოლდოვას მწვანე შუქს აუნთებს გაწევრიანების მოლაპარაკებების დასაწყებად, ვინაიდან ყველა თანხმდება, რომ ორივე ქვეყანა წარმატებით მიიწევს წინ იმ პირობების შესასრულებლად, რაც მათ 2022 წელს კანდიდატის სტატუსთან ერთად წარუდგინეს. საქართველოსთან დაკავშირებულ სურათს კი სიცხადე ნამდვილად აკლია.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის აშკარა უპირატესობისა დემოკრატიის გზაზე, შარშან ევროკავშირმა, კიშინიოვისა და კიევისგან განსხვავებით, თბილისს სტატუსის ნაცვლად მხოლოდ ევროპული პერსპექტივა არგუნა, რის გამოც თბილისი რიგში მესამეა კიევი-კიშინიოვის შემდეგ.

მმართველი გუნდის წევრების თქმით, წელს კანდიდატის სტატუსის მიღების იმედი არის და ხსენებული 12 რეკომენდაციიდან ყველა სრულდება, გარდა ერთისა - რაც დეპოლარიზაციას ეხებოდა და ამაში ბრალი ოპოზიციის არაკონსტრუქციულობას მიუძღვის, რადგან ეს უკანასკნელი ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობს.

ევროკავშირის ზოგიერთი ოფიციალური პირი საქართველოს პროგრესს ეჭვით უყურებს. ამის დასტურად „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის ამოქმედების მცდელობას და რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის განახლებას ასახელებენ.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი არასახარბიელო გარემოებებისა, მაინც არსებობს შანსი, რომ ევროკომისია ამ წლის ოქტომბერში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას გასცემს და ევროკავშირის ქვეყნები ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ.

> ***„თავად ევროკავშირმა, რაღაც გაგებით, როგორ უხეშადაც უნდა ჟღერდეს, გააუფასურა კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მნიშვნელობა, რაც ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა შარშან ბოსნია-ჰერცეგოვინის შემთხვევაში, როდესაც სტატუსი მიანიჭა ქვეყანას, რომელსაც სარაევოს ბრიუსელის მიერ 2019 წელს დაწესებული 14 პირობა, ან როგორც ხშირად მოიხსენიებდნენ, „ძირითადი პრიორიტეტები“ ბოლომდე არ შეუსრულებია***

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ევროკავშირის სხვადასხვა ოფიციალური პირი ადასტურებს, რომ არსებობს დაახლოებით ოთხი მიზეზი მაინც, რის გამოც საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება შესაძლებელი გახდება, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წარმომადგენელთა აზრით, საქართველოს ხელისუფლებას ჯერ არ შეუსრულებია შარშანდელ ზაფხულში გაცემული რეკომენდაციები.

პირველი მიზეზი ისაა, რომ თავად ევროკავშირმა, რაღაც გაგებით, როგორ უხეშადაც უნდა ჟღერდეს, გააუფასურა კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მნიშვნელობა, რაც ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა შარშან ბოსნია-ჰერცეგოვინის შემთხვევაში, როდესაც სტატუსი მიანიჭა ქვეყანას, რომელსაც სარაევოს ბრიუსელის მიერ 2019 წელს დაწესებული 14 პირობა, ან როგორც ხშირად მოიხსენიებდნენ, „ძირითადი პრიორიტეტები“ ბოლომდე არ შეუსრულებია. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის ბოლო შეფასება, რაც ევროკომისიამ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებამდე გასცა, გამკიცხავიც კი იყო. ევროკავშირის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა ამ შეფასებას ყველაზე კრიტიკული ანგარიშიც კი უწოდა, რომელიც ოდესმე გაუცია ბრიუსელს, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, ეს კრიტიკა მიივიწყეს და ბოსნია კანდიდატი ქვეყანა გახდა. რატომ? ნაწილობრივ იმიტომ, რომ მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს სტატუსი და ევროკავშირის ქვეყნებმა, კონკრეტულად კი სლოვენიამ და ავსტრიამ, მოითხოვეს სარაევოს გაფართოების პროცესში ჩართვაც, ვინაიდან ეჩვენებოდათ, რომ ევროკავშირის წევრობის მომლოდინე დასავლეთ ბალკანეთს ბრიუსელი გვერდს უვლიდა.

დღეისთვის ყველა ევროპულ ქვეყანას, რომელსაც სურს ევროკავშირში გაწევრიანება, კანდიდატის სტატუსი აქვს მინიჭებული. გამონაკლისი კოსოვოა, რომელსაც ევროკავშირის წევრი 5 ქვეყანა (და არც საქართველო) არ აღიარებს, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სტატუსის საქართველოსთვის მინიჭება ამ თვალსაზრისით არ გახდება განსაკუთრებული და გამონაკლისი, რადგანაც კანდიდატის სტატუსის მიღება, როგორც ამას დღეს ბევრი ევროპელი ჩინოვნიკი უყურებს, შედარებით მარტივად მისაღწევ მიზნად იქცა.

მეორე მიზეზი პირდაპირაა დაკავშირებული პოლიტიკურ იმპულსთან. დიდი პაუზის შემდეგ ევროკავშირის გაფართოება აქტუალური გახდა, რაც 2024 წლის არჩევნების შემდეგ შეიძლება კვლავ ჩაკვდეს და ჩაიკარგოს 2024 წლის ივნისში დაგეგმილი არჩევნების ორომტრიალში. ქვეყნებსა და ოფიციალურ პირებს შორის ევროკავშირის პოლიტიკური ჯგუფების, მაღალი თანამდებობებისა და პორტფელების გადანაწილების პროცესის შედეგი შესაძლოა სულაც არ წაადგეს გაფართოების პროექტს და დღეს არსებული კეთილგანწყობაც შეიცვალოს. შესაბამისად, ახლა საუკეთესო დროა საქართველოსთან დაკავშირებით, ისევე როგორც უკრაინასა და მოლდოვაზე, კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად.

თუ კიევი და კიშინიოვი წინ ერთი ნაბიჯით წაიწევს, საქართველოსთან დაკავშირებითაც იგივე უნდა მოხდეს ამ სამეულში ძლიერი ჩამორჩენის საფრთხის ასარიდებლად. ბრიუსელში სურთ, რომ ეს ჯგუფი შეინარჩუნონ.

იმის მეოთხე მიზეზი, თუ რატომ არის შესაძლებელი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მაინც მინიჭება, როგორც სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემაში წერენ, „ბრიუსელური ტკბილეულის“ კლასიკური მეთოდია, ანუ - თბილისი მიიღებს სტატუსს, მაგრამ ამასთან ერთად, შემდეგი ეტაპის გადასალახად და წევრად მიღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასაწყებად დამატებითი პირობების შესრულებას მოსთხოვენ. ბრიუსელს, როგორც წესი, კარგად გამოსდის ახალ-ახალი პირობების დაწესება და ერთ-ერთი პირობა, შესაძლოა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრაში სწრაფი მოქცევაც გახდეს. იმედია, ეს მართლაც ასე მოხდება და საქართველო ევროპული თანამეგობრობის ოფიციალური წევრი გახდება, რითაც საბოლოოდ მოეღება ბოლო ყბადაღებულ ბრალდებებს, თითქოს საქართველო კურსს რუსეთისკენ იცვლის. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი გარემოება კიდევ ერთ, მეხუთე, მიზეზად უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში მისაღებად. საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში უცხოურ მედიასთან გასაგებად თქვა, მიგვიღეთ ევროკავშირში და პოლარიზაციასაც (რომლის მთავარი წყარო სწორედ საქართველოს ევროპული თუ რუსული არჩევანია) ბოლო მოეღებაო.

**მოამზადა
მარი მიდასელმა**

## „ჩვენი ძირითადი ძალები ბრძოლაში ჯერ არ შესულან“



ეს სიტყვები უკრაინის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეთაურ ალექსანდრე სირსკის ეკუთვნის, რომლებიც The Guardian-თან ინტერვიუში წარმოთქვა.

„ყველას სურს დიდი გამარჯვების მყისიერად და ეგრევე მიღწევა. ჩვენც გვსურს ეს, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ეს პროცესი რაღაც დროს დაიკავებს, ვინაიდან ორივე მხრიდან ბევრი ძალა, ბევრი ტექნიკა და ბევრი საინჟინრო ბარიერია კონცენტრირებული. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ძირითადი ძალები საბრძოლო ქმედებებში ჯერ არ არიან ჩართულნი. ჩვენ ახლა მტრის თავდაცვაში სუსტ ადგილებს ვეძებთ. ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა“, - განაცხადა ალექსანდრე სირსკიმ.

მისი თქმით, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების დაჯგუფება ახლა დაახლოებით 400 000 ადამიანს შეადგენს.

**ამირან გურიელიძე**

## უცხოეთი

თუ ვინმეს ევროკავშირში შესვლა სურს, ახლა არის მომენტი და გამოიყენეთ შესაძლებლობა, - განაცხადა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ სტოკჰოლმში, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიერ რეფორმების კუთხით მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ ზეპირი ანგარიშის წარდგენის შემდეგ. მან ხაზი გაუსვა, რომ ევროსტრუქტურაში გასაწევრიანებლად საჭიროა რეფორმების განხორციელება. „ჩვენ მზად ვართ, დაგეხმაროთ ამ მიზნამდე მისვლაში, მაგრამ კრიტერიუმები ყველამ უნდა დააკმაყოფილოს. ჩემი რეკომენდაციაა, მთავრობებმა ყველა მიმართულებით დააჩქარონ სამუშაო, რათა ოქტომბერში შესრულებული ანგარიში გვქონდეს საქართველოზე, უკრაინაზე, მოლდოვაზე. ჩვენ მზად ვართ, როდესაც საქმე გაკეთებული იქნება“, - განაცხადა ვარჰეიმ.

* * *

გაეროს უშიშროების საბჭო კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქების შედეგებსა და ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე ტერაქტის საფრთხეს განიხილავს. უკრაინის პრეზიდენტმა დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ რუსეთი ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე ტერაქტის განსახორციელებლად ემზადება. ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებას რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა სიცრუე უწოდა. „ეს არის მორიგი ტყუილი. მოგეხსენებათ, ახლახან გვქონდა კონტაქტი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან და მათგან ძალიან მაღალი შეფასება მივიღეთ. მათ დაინახეს ყველაფერი, რისი დანახვაც სურდათ“, - განაცხადა დიმიტრი პესკოვმა.

* * *

პოლონეთის პრეზიდენტ ანჯეი დუდას განცხადებით, აუცილებელია რუსეთის სწრაფად შეჩერება, რადგან მან შემდგომში შეიძლება უკრაინის მთელი ტერიტორიის დაპყრობა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმა მოინდომოს. „არ უნდა დავუშვათ, რომ რუსეთმა გაიმარჯვოს, რადგან ის გააგრძელებს წინსვლას. ეს იქნება მისი იმპერიალიზმის ხელშეწყობა. რუსეთი ჰგავს გარეულ მხეცს, რომელიც ადამიანს შეჭამს. თუ მხეცი ჭამს ადამიანს, ამბობენ, რომ მას უნდა მიაკვლიო და მოკლა, რადგან დაჩვეულია ადამიანის ხორცის ჭამას. ასეა რუსეთთან დაკავშირებითაც“, - განაცხადა დუდამ.

* * *

რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს განცხადებით, ივნისის ბოლომდე „სარეზერვო არმია“ ჩამოყალიბდება, რომლის შეიარაღებაში ათასობით ერთეული ტექნიკა იქნება. ამის შესახებ მან რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისთვის ჩაბარებულ მოხსენებაში ისაუბრა. „არმიის კორპუსის შემადგენლობაში ვაყალიბებთ რეზერვებს, ამას ემატება მე-20 სატანკო არმიის ხუთი პოლკი. ფაქტობრივად, ივნისის ბოლომდე დავასრულებთ სარეზერვო არმიის და ასევე უახლოეს მომავალში არმიის კორპუსის ჩამოყალიბებას“, - განაცხადა შოიგუმ.

**მოამზადა
ია შველიძემ**

# სამყარო საკუთარი თავის პოვნაში ეხმარება

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*სწავლება მეტად რთული და საპასუხისმგებლო პროცესია. მრავალფეროვანი გამოცდილება და მეთოდებია საჭირო, რომ წაუძლვე და შედეგზე ორიენტირებული გახადო სასწავლო-საალმზრდელო პროცესი. მასწავლებელი - ეს არის მომავალი თაობის ფორმირების პროცესის მთავარი ღერძი, საყრდენი და საფუძველი. საკამათო როდია ის, რომ ჩვენი ქვეყნის მომავლის საძირკველი და ბედის განმსაზღვრელი ის თაობაა, რომლის წარმომადგენლებიც სასკოლო მერხებს უსხედან. მათ სჭირდებათ პედაგოგი, რომელიც მოსწავლეს მრავალმხრივ ავითარებს*



*ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი **მაია მენაბდე** მრავალმხრივ გამორჩეული და წარმატებული პედაგოგია - ათეული წლებია, მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინალისტია. აღსანიშნავია, რომ ის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოსა და არაერთი სტატიის ავტორიცაა.*

**- მასწავლებლობაზე ბევრი ბავშვი ოცნებობს, ალბათ თქვენც მათ შორის იყავით. რა ასაკში ჩაატარეთ პირველი გაკვეთილი?**

- გაგიკვირდებათ და... ჩემი ამბავი სრულიად განსხვავებულია: ბავშვობაში მეც ვთამაშობდი „მასწავლებლობანას“, მაგრამ უკვე მოზარდს ნამდვილად არ მიოცნებია პედაგოგობაზე. ფილოლოგიური ფაკულტეტი ისე დავასრულე, ყველაფერზე ვფიქრობდი - კრიტიკოსობაზე, ჟურნალისტობაზე, გაზეთსა თუ გამომცემლობაში მუშაობაზე... მასწავლებლობის გარდა. სანამ სასურველ საქმეს ვიპოვიდი, მასწავლებლად მუშაობა 23 წლისამ, ჩემი აზრით, დროებით დავიწყე, პარალელურად ასპირანტურაში ვსწავლობდი. ამ „დროებითობაზე“ ფიქრმა ძალიან შემიშალა ხელი და პროფესიით ტკბობა საკმაოდ გვიან მოვიდა ჩემთან. ახლა მასწავლებლობა მაბედნიერებს!

**- თქვენი ცხოვრების ფაბულა როგორ იქმნება - შემთხვევითი ამბებით თუ გააზრებული არჩევანით?**

- რაც უკვე მოვყევი, იქიდანაც გამოჩნდა ნაწილობრივ, მთლად დაგეგმილ-დაწიკწიკებული ცხოვრების ადამიანი არ ვარ, მაგრამ არც ისეა, დინებას მივყვებოდე ბედნიერი შემთხვევების მოლოდინით. გააზრებული არჩევანის გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელი მგონია. გადაწყვეტილებებს ადვილად ვერ ვიღებ, ბევრს ვფიქრობ ხოლმე, მაგრამ ვთვლი, რომ „შემთხვევითი ამბებიც“ შემთხვევით არ ხდება და მათი საშუალებით ხშირად სამყარო გვეხმარება, ვიპოვოთ, დავინახოთ საკუთარი თავი, მნიშვნელოვანი ადამიანები, საჭირო საქმე...

**- რასაც წლების განმავლობაში ქმნით, მათგან ყველაზე ღირებულად რა მიგაჩნიათ?**

- არ ვიქნები ორიგინალური და ვიტყვი, რომ, ზოგადად, ყველაზე ღირებული ადამიანური ურთიერთობებია. ეს აძლევს ჩვენს ცხოვრებას აზრს, ფერს, სიცოცხლეს... სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია და ამას ყოველთვის ვუმეორებ ჩემს მოსწავლეებსაც. შესაბამისად, რაც მასწავლებლობის პერიოდში შემიქმნია და ვქმნი, ყველაზე ღირებული ჩემს მოსწავლეებთან ურთიერთობაა, მათი სურვილი, რომ გულწრფელად ისაუბრონ და იმეგობრონ ჩემთან, ისწავლონ რაიმე ჩემგან, წლების მერეც მოუნდეთ და გაუხარდეთ ჩემი ნახვა.

**- განვლილ წლებს თვალი რომ გადავავლოთ, თქვენს ცხოვრებას რას მიამსგავსებდით?**

- ლამაზ და ცოტა ვინტაჟურ კედლის საათს, რომელიც დროდადრო ურევს: ხან წინ გარბის, ხანაც ჩამორჩება.

**- ცხოვრების მიერ თქვენთვის მოცემული შესაძლებლობების გამოყენება რასთან იყო დაკავშირებული - მძიმე შრომასთან, დიდ რისკთან, ამ შესაძლებლობების ამოცნობის უნართან თუ...**

- დიდ პასუხისმგებლობასა და დაუზარელ შრომასთან, რასაც „მძიმეს“ ვერ დავარქმევ. რისკებიც დიდად არ მახსენდება - არ მაქვს რისკებით სავსე ცხოვრება, შესაძლებლობების ამოცნობასთან - კი, ოღონდ უფრო საკუთარ თავში.

**- კატეგორიულობა რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ურთიერთობის ენა?**

- დასაფიქრებელია. კატეგორიულობა ერთგვარად პრინციპულობაა და პრინციპულობა ნამდვილად შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ურთიერთობაში. ეს გამომიცდია როგორც მასწავლებელს, როგორც მშობელს და როგორც რიგით მოქალაქეს. თუ კატეგორიულობაში იგულისხმეთ იმპერატიულობაც, ეს ყველა სიტუაციაში წამგებიანია, ჩემი აზრით, ამიტომ ძალიან იშვიათად ვირჩევ ამ ფორმას და ისიც - შეცდომით.

**- თქვენ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი ხართ...**

- დიახ, მე-7-9-10 და მე-11 კლასების სახელმძღვანელოების თანაავტორი ვარ და მიხარია, რომ საკმაო გამოცდილება დამიგროვდა ამ კუთხით. გულწრფელად ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საქმის ნაწილი ვარ, რადგან თვითონ ვარ მასწავლებელი ამდენი წელია და ზუსტად ვიცი, საინტერესო სახელმძღვანელო როგორი მარჯვენა ხელია სწავლების პროცესში. შემიძლია ვთქვა, რომ თითოეული სახელმძღვანელოს შექმნის თანამონაწილენი ჩვენი, ავტორების, მოსწავლეებიც არიან, რადგან რაც მათთან ერთად გაგვიკეთებია, რაც გამოგვიცდია, კარგად გამოგვსვლია საკლასო ოთახში, ის გადაგვაქვს ხოლმე სახელმძღვანელოში. შექმნის პროცესი არის ძალიან შრომატევადი, ძალიან საპასუხისმგებლო, მაგრამ, ამავე დროს, მეტისმეტად სასიამოვნო - ხვდები, რომ არ სრულდება არც შესასწავლი, არც საფიქრალი და ფანტაზიაც შეუზღუდავია.

**- ლიტერატურასთან თქვენს უშუალო შეხებაზე რას გვეტყვით?**

- ჩემი და ლიტერატურის სიყვარული პატარა ასაკიდანვე იწყება და მერე ისე მოხდა, პროფესიასაც დაუკავშირდა. ამიტომაც ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა: დასვენებაც ლიტერატურაა ჩემთვის და შრომაც და საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ლიტერატურა უფრო ნამდვილია, ვიდრე ის ცხოვრება, ზოგიერთებს რომ ნამდვილი ჰგონიათ.

**- თქვენი აზრით, სკოლას თუ აქვს გაცნობიერებული თავისი მისია, რომ ბავშვი საზოგადოების წევრად უნდა ჩამოაყალიბოს?**

- უნდა ჰქონდეს! დოკუმენტაციის დონეზე ყველა სკოლას აქვს გაცნობიერებული, რეალურად კი, ჩემი აზრით, იშვიათობაა, სამწუხაროდ.

**- რთული ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის თქვენი პირადი გამოცდილება როგორია?**

- ჩემი აზრით, ბავშვობა რთულია, ზოგადად. ამ თემასთან დაკავშირებით სულ მახსენდება ცნობილ ფრანგ რეჟისორ ფრანსუა ტრიუფოს სიტყვები: ცამეტი წლისა მოუთმენლად ველოდი, როდის გავიზრდებოდი, რომ ყველანაირი ცუდი საქციელი დაუსჯელად ჩამედინაო, რადგან ხედავდა, უფროსები აშავებდნენ, მაგრამ მათ არავინ სჯიდა ამის გამო, თავადვე იცინოდნენ თავიანთ დანაშაულებზე. სულ ტყუილად გვგონია, რომ ბავშვობა უდარდელი ხანაა, ბევრი წინააღმდეგობითაა სავსე. რომ მკითხოთ, რომელ ასაკში დაბრუნდებოდიო, ბავშვობას ნამდვილად არ ავირჩევდი (თავიდან რა გაივლიდა გაზრდის გზას?!). ეს მაქვს გაცნობიერებული, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, ბავშვებს ჩემთან თავისუფლად ურთიერთობის საშუალება მივცე, არ ვერიდები ჩემს შეცდომებზე საუბარსაც, რათა ვაჩვენო, რომ არც ჩემთვისაა უცხო შეცდომები და, საერთოდ, არავისთვის. ვცდილობ, დავეხმარო, რაც ხან გამომდის, ხან ვმარცხდები, სამწუხაროდ.

> ***,, სულ ტყუილად გვგონია, რომ ბავშვობა უდარდელი ხანაა, ბევრი წინააღმდეგობითაა სავსე. რომ მკითხოთ, რომელ ასაკში დაბრუნდებოდიო, ბავშვობას ნამდვილად არ ავირჩევდი (თავიდან რა გაივლიდა გაზრდის გზას?!). ეს მაქვს გაცნობიერებული, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, ბავშვებს ჩემთან თავისუფლად ურთიერთობის საშუალება მივცე, არ ვერიდები ჩემს შეცდომებზე საუბარსაც, რათა ვაჩვენო, რომ არც ჩემთვისაა უცხო შეცდომები და, საერთოდ, არავისთვის. ვცდილობ, დავეხმარო, რაც ხან გამომდის, ხან ვმარცხდები, სამწუხაროდ***

**- დღეს საზოგადოების დიდი ნაწილის შრომა წიგნს საერთოდ არ უკავშირდება. რატომ უნდა გადადოს თანამედროვე პრაგმატულმა ადამიანმა თავისი ძვირფასი დროის ნაწილი იმისთვის, რომ წიგნები იკითხოს?**

- იმიტომ, რომ რუტინამ არ შთანთქას, არ გამოფიტოს, რობოტად არ აქციოს. ფრანგი მწერალი დანიელ პენაკი წერს, კითხვის დრო მოპარული დროაო. ნამდვილად ასეა. ხელოვნება ადამიანს აჩვენებს იმ სამყაროს, რომელიც თან მის გარშემოა, თან მის სულშია, თან გამოგონილია, თან ყველაზე ნამდვილია. მხატვრული ლიტერატურაც ერთ-ერთი ფორმაა. გარდა ამისა, ხომ ცნობილი ფაქტია, რომ ფანტაზიას ისე არაფერი ავითარებს, როგორც ლიტერატურა?! ფანტაზია კი ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ყველა სფეროში.

**- პიროვნების საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები, საერთო კულტურა, მისი ღირებულებები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება და საგნის სწავლების ძირითადი მიზნებიც ამ მოცემულობის გათვალისწინებით განისაზღვრება. ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არა, სწავლების ენაა - ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალება! დიდი პასუხისმგებლობაა, იყოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი...**

- უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო მასწავლებელი (დღემდე ვერ ვიშორებ შიშს ამ პასუხისმგებლობის გამო) და ამას ემატება ის უცნაური შეგრძნება, რომ თან ხიდი ხარ ბავშვისთვის განსხვავებული ცოდნის შეძენის პროცესში. ეს გრძნობა აორმაგებს, ასამმაგებს პასუხისმგებლობას, ამიტომ მუდამ ვცდილობ, გავააზრებინო მოსწავლეებს, რომ კონკრეტული მოთხრობა თუ ლექსი თავისთავად კი არის ღირებული, მაგრამ თან უნდა იცოდნენ, ამ მოთხრობასა თუ ლექსზე ფიქრი, კითხვების დასმა, მსჯელობა მათ ნებისმიერ საკითხზე საკუთარი აზრის, დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. სხვადასხვა სფეროში რომ უკეთ გაიკვალონ გზა, ამას საძირკველს უყრის თუნდაც ერთ პატარა ნოველაზე ფიქრი.

**- ბოლო კითხვა: რომელი სიტყვა გამოდგება მთელი თქვენი ცხოვრების მეგზურად?**

- ვიქნები ისევ ტრივიალური და ვიტყვი - „სიყვარული“, რადგან მგონია, არ არსებობს ამაზე მეტად გაცვეთილი, თუმცა ამაზე საჭირო გრძნობა ცხოვრებაში: ვინც ან რაც გიყვარს - გაბედნიერებს, ვინც ან რაც გაბედნიერებს - ის აძლევს ცხოვრებას აზრს!

## უკრაინა

უკრაინის შეიარაღებული ძალების მიმდინარე კონტრშეტევისას ბრძოლის ველზე, შესაძლოა, ამერიკული Abrams-ის ტანკები გამოჩნდნენ, - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ განაცხადა. „არის იმედი, მაგრამ ამას ვიტყვი, თქვენ უნდა იფიქროთ არა მხოლოდ ამ კონტრშეტევაზე. ეს არის ის, რასაც მე მუდმივად ხაზს ვუსვამ პარტნიორებთან ურთიერთობისას. არ უნდა შეხედოთ ამ კონტრშეტევას, როგორც ბოლოს და გადამწყვეტს“, - განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისი თქმით, იქნება იმდენი კონტრშეტევა, რამდენიც საჭირო გახდება უკრაინის მთელი ტერიტორიის გასათავისუფლებლად.

* * *

უკრაინამ კიდევ 51 დაღუპული ჯარისკაცის ცხედარი დაიბრუნა, - ინფორმაციას უკრაინული მედია უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხების კომისარ ოლეგ კოტენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. „განხორციელდა იმ სამხედრო მოსამსახურეების ცხედრების გადმოცემის პროცესი, რომლებმაც თავი უკრაინას შესწირეს. დღეს ახლობლებს 51 ცხედარი დაუბრუნეს“, - წერს კოტენკო სოციალურ ქსელში. მისი თქმით, დაღუპულთა ცხედრების სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა ხერსონის სატრანსპორტო საწარმოს დაარტყეს, რის შედეგადაც 2 ადამიანი დაიღუპა და 4 დაშავდა, - ამის შესახებ ხერსონის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ პროკუდინმა განაცხადა. „მორიგი რუსული ტერორისტული აქტის შედეგად ხერსონში საოკუპაციო ჯარებმა მიზანმიმართულად დაარტყეს მუნიციპალურ სატრანსპორტო საწარმოს. სამწუხაროდ, 55 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ხუთი მისი კოლეგა დაშავდა, ისინი სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს“, - წერს პროკუდინი. მოგვიანებით მან გაავრცელა ინფორმაცია, რომ საწარმოს კიდევ ერთი - 43 წლის თანამშრომელი გარდაიცვალა. „ექიმები ცდილობდნენ მის გადარჩენას, მაგრამ დაზიანებები ძალიან მძიმე იყო. მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა“, - წერს ხერსონის გუბერნატორი.

* * *

გერმანული იარაღის მწარმოებელი Rheinmetall-ი გეგმავს, უკრაინას ამ ზაფხულს კიდევ 20 Marder-ის ქვეითთა საბრძოლო მანქანა გადასცეს. ამ ინფორმაციას Welt-ი ავრცელებს. კომპანიამ პარასკევს დაადასტურა ივნისის დასაწყისში უკვე გამოცხადებული შეკვეთის განხორციელების განრიგი. იმ ტექნიკის ღირებულებას, რომელიც ბუნდესვერის საწყობებშია, გერმანიის მთავრობა გადაიხდის. ეს ნიშნავს, რომ უკრაინა სულ 60 Marder-ს მიიღებს: 40-ს Rheinmetall-ისგან და 20-ს ბუნდესვერის საწყობებიდან. Rheinmetall-ი უკრაინას კიდევ 60 ქვეითთა საბრძოლო მანქანას სთავაზობს და ამაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს უნტერლუსის (ქვემო საქსონია) და კასელის (ჰესე) ქარხნებში. კომპანია აცხადებს, რომ თვეში 10 Marder-ის მომზადება შეუძლია. უკრაინისთვის პირდაპირი მიწოდების გარდა, კომპანიისგან 40 Marder-ს ამ ზაფხულს საბერძნეთი მიიღებს. ეს არის იმ შეთანხმების ნაწილი, რომლითაც ნატოს ქვეყნები უკრაინას საბჭოთა წარმოების სამხედრო აღჭურვილობას აწვდიან, თავად კი თანამედროვეს იღებენ.

* * *

გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ ბუნდესტაგში ილაპარაკა. ბუნდესკანცლერი უკრაინას კვლავინდებურად ჰპირდება გრძელვადიან სამხედრო დახმარებას, თუმცა ამ ეტაპზე გამორიცხავს, რომ უკრაინა ახლო მომავალში ნატოს წევრი გახდეს. „არსებული სიტუაცია ჯანსაღად უნდა შევაფასოთ“, თქვა ბუნდესკანცლერმა და დასძინა, რომ უკრაინის მთავრობა თავადვე აღიარებს, რომ ქვეყანა ომის დასრულებამდე ნატოში ვერ შევა. „ამდენად, გთავაზობთ, ვილნიუსის სამიტზე ვკონცენტრირდეთ მთავარ ამოცანაზე, კერძოდ კი უკრაინის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებაზე“, - განაცხადა ოლაფ შოლცმა ბუნდესტაგის წინაშე. გერმანიის კანცლერის თქმით, გერმანია სხვა დასავლელ პარტნიორებთან ერთად მუშაობს უკრაინის გრძელვადიანი უსაფრთხოების გარანტიების შესამუშავებლად: „ჩვენი ამოცანაა უკრაინის მდგრადი სამხედრო დახმარება თანამედროვე დასავლური შეიარაღების ჩათვლით და უკრაინის ეკონომიკური მედეგობის გაძლიერება, სანამ რუსული აგრესიისაგან უწევს თავის დაცვა“. ვილნიუსში ნატოს სამიტი 11-12 ივლისს გაიმართება, სადაც მოკავშირეები უკრაინის შემდგომ დახმარებაზე იმსჯელებენ.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# „სულის წიაღში მირონივით იხარშება ლექსი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*წარმატებული და ნაყოფიერი შემოქმედი, გულწრფელი და სიკეთით სავსე, ემპათიური და გულითადი ადამიანი - ასე ახასიათებენ პოეტ* ***ფიქრია ჩუბინიძეს*** *არა მარტო კოლეგები, არამედ ყველა, ვინც იცნობს. ეს ახალგაზრდა ქალბატონი რამდენიმე წელია, თავისი შემოქმედებით ყურადღებას იპყრობს. მისი ლექსები არაერთ პერიოდულ გამოცემაში იბეჭდება, მონაწილეობს ლიტერატურულ შეხვედრებში, 2020 წელს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალში გაიმარჯვა, ამავე წელს მოიპოვა 2020 წლის ელიტარული პოეტის ტიტული, ავტორია ლექსების ორი კრებულისა, ახალი კრებულით „ლირიკული ფოლიანტები“ მალე წარსდგება მკითხველის წინაშე. წიგნის რედაქტორია ცნობილი ლიტერატურათმცოდნე სოსო სიგუა, რაც უკვე მიანიშნებს, რომ წიგნის ფურცლებიდან ნამდვილ პოეზიას ვეზიარებით. დღეს ქალბატონ ფიქრიას არაერთ საინტერესო საკითხზე ვესაუბრებით.*




**- როცა პირველი ლექსი დაწერეთ... დღე, რომელიც ლექსად გადმოიღვარა... და შემდეგ, როგორ წარიმართა თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება?**

- პოეზიას ბავშვობიდან ვეზიარე, თუმცა სხვა რაკურსით, სასკოლო კონკურსებზე მხატვრულ კითხვაში ვიღებდი მონაწილეობას, არტისტულად ვკითხულობდი სხვადასხვა პოეტის ლექსებს და იმდენად ღრმა განცდებში შევდიოდი, რომ მერე ამა თუ იმ პოეტის, მთელი შემოქმედების წაკითხვის სურვილი მიჩნდებოდა. ასე ნელ-ნელა ვეცნობოდი პოეზიას, პოეტურ შედევრებს. წერაც სკოლის ასაკში დავიწყე, თუმცა ამ პერიოდს სერიოზულად ვერ განვიხილავ. ის ლექსები პრიმიტიული იყო, პირველად სახუმარო ლექსებს ვწერდი, ხან მასწავლებელზე, ხან დეპუტატზე, ხან თანაკურსელზე და ა.შ. „პენსო გაყინულაშვილის“ ფსევდონიმით სატირულ ლექსებს ვაქვეყნებდი რაიონულ გაზეთში, რასაც დიდი ხალისი მოჰქონდა ჩემთვისაც და მკითხველისთვისაც. ერთი სიტყვით, ასე დაიწყო ჩემი მოლექსეობის ადრეული ეტაპი იქამდე, ვიდრე მეც არ ჩავდექი მწერლობას აყოლილ თუ „წერას აყოლილ“ თანამედროვე შემოქმედთა ფერხულში. ახლა ორი პოეტური კრებულის ავტორი ვარ და მთელი ძალისხმევით დატვირთული შემოქმედებითი რუტინა მაქვს.

**- რა არის თქვენი შთაგონების წყარო, საიდან მოდის?**

- ჩემი შთაგონების წყარო, უპირველესად, იმ პოეტთა შემოქმედებაა, რომლებთანაც სულიერ ბმას ვგრძნობ. ლექსს რომ ვკითხულობ, თხემით ტერფამდე იმ სამყაროში შევდივარ, რასაც პოეტი წარმოსახავს. ხშირად თავად განვიცდი მოვლენებს, რომლებსაც სამყაროში, ცხოვრებაში, პოეზიაში ვხედავ და შემდგომ ის შთაგონების სახით ჩემს ნააზრევშიც ლავასავით ლექსად გადმოედინება. ინსპირაციას, არისტოტელეს დოქტრინას თუ გავითვალისწინებთ პოეზიის და პოეტის როლის გაანალიზებისას, გამოდის, რომ ჩვენ ვბაძავთ თვალთახედვაში არსებულ ფაქტებს და მოვლენებს, სხვა პოეტებს, ასევე შთაგონებას ქმნის ბუნება, ადამიანები, რწმენა, ისტორიული ფაქტები, თავად ცხოვრება და ლიტერატურა მისი უმდიდრესი წყაროებით. სწორედ ასე - აღვიქვამ, ვწერ იმას, რასაც გონება და გული ერთად გაატარებს სტრიქონთა პოდიუმზე.

**- როგორ ფიქრობთ, ლექსი სულის ანაბეჭდია?**

- უცხადესია ასეა... სწორედ რომ სულის წიაღში მირონივით იხარშება ლექსი. იგი თანაზიარია როგორც პოეტის სულისა, ასევე, ღმერთის მადლისა და ნებისა. უდიდესი სულიერი დრტვინვის, ძალისხმევის, განცდის შედეგია ლექსი. იგი სულში ისახება, მწიფდება და მერე ორაგულის ქვირითივით იბადება პოეზიის თავანკარა მდინარეში. ჩემშიც ასეა. ვერ წარმოიდგეთ, რა სულიერ დაძაბულობასთან ასოცირდება ჩემში ლექსის შობა, ხანდახან ის დიდ ტკივილებს, ხანაც აღტაცებას, ხანაც სინანულს მოაქვს ჩემს სულში.

**- მთავარია, მომავალს პოზიტიურად შევხედოთ - ეს თქვენი სიტყვებია, რა არის ასეთი განწყობის წყარო? აუტოტრენინგები გეხმარებათ? მისი დაუფლება რამდენად ამაღლებს პიროვნების სულიერ და ფიზიკურ ძალას თუნდაც თქვენი ცხოვრების მაგალითზე?**

- მე სენტიმენტალური ადამიანი ვარ. ჩემი თაობა ომებში ჩაკარგული თაობაა. ქვეყნის ისტორიული კატაკლიზმების პერიოდს დაემთხვა ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა, თუმცა როცა ახალგაზრდებს ვუცქერ, ვხედავ, რომ ნიჭიერების, თავისუფალი აზროვნების და მიზანსწრაფული მომავლის თაობა მოდის. არ შეიძლება ამან პოზიტიურად არ განმაწყოს და იმედის ხილვები არ გამიღვივოს. რა თქმა უნდა, მეც მაძლევს ძალას და შემართებას ის, რომ წინა თაობას, რომელსაც ვეკუთვნი, არ მართებს შეჩერება, წერტილის დასმა. პირიქით, ასეთ მომავალს გზა უნდა გავუკვალოთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ კალამს ისე ვარ მინდობილი, როგორც რქაწითელი ვენახი ჭიგოს.

**- თქვენი ლექსების ახალი კრებული „ლირიკული ფოლიანტები“ უკვე იხილა მკითხველმა...**

- „ლირიკული ფოლიანტები“ ჩემი მეორე კრებულია, იგი ერთი თვის წინ გამოვიდა და ჯერ მკითხველის წინაშე წარდგენაც არ მქონია. სექტემბრისთვის ვგეგმავ, წიგნის პოლიგრაფიული დონე მომწონს, გამომცემლობა „ივერიონში“ დაიბეჭდა. თუ მკითხველი რედაქტორ სოსო სიგუას წინასიტყვაობაში წიგნის შეფასებას გაეცნობა, ვფიქრობ, საინტერესო გზამკვლევი იქნება. კრებულში შესულია ლირიკული ხასიათის ახალი ლექსები, ამიტომაც ვუწოდე ეს სახელი. ვფიქრობ, სრულყოფილად გადმოვეცი ის განცდები, რაც ამ ბოლო პერიოდში როგორც ადამიანს გამაჩნდა. არ ყოფილა ჩემი ცხოვრების გზა ია-ვარდებით მოფენილი, ალბათ ამიტომაცაა, სევდა ჩემი მეგზური, რაც გადმოდის ლექსებშიც. ამიტომაც ბატონი სოსო სიგუა ჩემი წიგნის განხილვისას სევდის პოეტს მიწოდებს. მკითხველი თავად განსჯის მის მხატვრულ ღირებულებას, მე ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ, თუმცა გზას პოეზიის იალბუზისაკენ ჯერ კიდევ მივუყვები. ვნახოთ, რა შედეგზე გამიყვანს ჩემი შემოქმედებითი სწრაფვა. ეს წიგნი იქნება ჩემი პოეტური აუსტერლიცი თუ ვატერლოო, ამ დასკვნას საბოლოოდ მკითხველი გააკეთებს.

**- ქრისტიანული პოეზიის ფესტივალში გაიმარჯვეთ... გვიამბეთ ამ ფესტივალის შესახებ...**

- ეს ფესტივალი წლებია ტარდება და იქ, ძირითადად, ავტორები პატრიოტული და რელიგიური თემატიკის ლექსებს წარადგენენ. „მამულს მიმიხედეთ“ ასე ჰქვია ჩემს ლექსს, რომელმაც ამ კონკურსში პირველი ადგილი მიიღო. ახლახან ამ ფესტივალის ფარგლებში გამოიცა ანთოლოგია, სადაც ჩემი ლექსიც არის შესული. ღირებული პროექტია, ძალიან მიყვარს და მიხარია, როცა მის მიმდინარეობას თვალს ვადევნებ.

**- ბევრ ლიტერატურულ შეხვედრას ესწრებით და აქტიურად მონაწილეობთ, კოლეგების მიმართ ემპათიით გამოირჩევით...**

- მიყვარს ასეთი შეხვედრები, ბევრი კარგი პოეტი გავიცანი, ყოველი ლიტერატურული საღამო ახალ კრებულთან, ახალ ლექსთან ასოცირდება, მიყვარს ის ინტელექტუალური საზოგადოება, რომლის წევრებთანაც მიწევს ურთიერთობა. განსაკუთრებით იმ შეხვედრებს გამოვარჩევდი, სადაც თანამედროვე ქართული სიტყვის მეტრებთან მაქვს მეგობრული შეხვედრები. ღვაწლმოსილ ადამიანებს როცა ვუსმენ, ვაცნობიერებ, რომ მათთან გატარებული ყოველი წუთი ჩემი ცხოვრების მატიანეში შედის, ისევე, როგორც მათი მოღვაწეობაა საქართველოს თანამედროვე ეპოქის ნაწილი. მაქვს მეც ასეთი ბედნიერი დღეების ქორონიკონი...

**- ჩემი ქალიშვილი წავიყვანე პოეზიის საღამოზეო, სიხარულით განაცხადეთ, ანუ სულის ზრდისათვის აუცილებლობად მიგაჩნიათ „პოეზიის აბების“ მიწოდება?**

- მშობელს თუ აქვს შესაძლებლობა, შვილი თანაზიარი გახადოს ძვირფასი ადამიანების - პოეტების, მწერლების საღამოებისა, კონტაქტი ჰქონდეს ამა თუ იმ ავტორთან, ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს. ადამიანები, რომლებიც ქმნიან ერის კულტურულ სახეს, მინდა, ჩემმა შვილმა ცხადში იხილოს, მოუსმინოს, შეიმეცნოს მათი შემოქმედება და შემდგომ შთაგონებით განიმსჭვალოს, ლიტერატურისადმი სიყვარული გაუღვივდეს და სიბერემდე გაჰყვეს ის დაუვიწყარი წუთები, როცა ეპოქალურ ადამიანებს ცხოვრებაში ხვდებოდა და უსმენდა. ოდესმე ეს ლამაზ მოგონებად გაუცოცხლდება. ეს საფუძველს გაუმაგრებს მის მიზანსწრაფვას, გაეცნოს ლიტერატურას.

**- „ჩემი სოფელი - როგორც ხანძარი, მზე აქ ინთება“... კიდევ, რა გამოარჩევს თქვენს მშობლიურ სოფელს, რით აგივსოთ მან სული, რით დაგასაჩუქრათ?**

- ოჰ, ეს ის თემაა, რომელსაც სულ სხვაგვარი აღტაცებით შევხარი და ვესათუთები. ჩემი მშობლიური სოფელი ვანის რაიონში სულ მაღლა მდებარეობს (სხვათა შორის, ამ სოფელში დაიბადა დიდებული მწერალი ჯემალ ქარჩხაძე, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მწერალი, ფილოლოგი რეზო თვარაძე). იგი ბევრი ნიჭიერი ადამიანის დედაბუდეა. საოცრად ლამაზია ხალხით, ბუნებით და ჩემი ბევრი სტრიქონი ამ სიყვარულს გულიდან ცამდე ეხმიანება. მიყვარს ის ადგილი, სადაც დავიბადე, იქ აენთო ჩემი პოეტური ნათლობის კელაპტარიც.

**- „ღიმილი და დუმილი - ორი მძლავრი იარაღი“ - წერთ ერთგან. მოდით, უფრო გაათვალსაჩინოეთ ეს აზრი...**

- როცა ადამიანებს სულიერი ტკივილების დამალვა სურთ, ამის ორი გზა არსებობს - დუმილი და ღიმილი. ასე სხვისთვის შეუმჩნეველი ხდება ადამიანის სულის წიაღის ქარაშოტები. მეც მაქვს ხანდახან ასეთი სუბსტანცია, როცა საკუთარ მეში ვიკეტები, ჩემი ფიქრით და სატკივილოთი... გარეთ არ გამაქვს ნეგატივე, პოზიტივს კი ღიმილი ქმნის.

**- რა გასწავლათ ცხოვრებამ, რას ურჩევდით მათ, ვინც ახლა გამოდის ასპარეზზე?**

- ბევრი დაბრკოლება გვხვდება ცხოვრებაში, ბევრიც - სიამე და ბედნიერება. უპირველესად, ის მასწავლა, რომ არ უნდა მოვდუნდე. მიზანსწრაფულობა და შრომისუნარიანობა ალამაზებს ცხოვრებას. ცხოვრებისეული ეს ორი პოსტულატი დიდად უწყობს ხელს ადამიანის დამკვიდრებას საზოგადოებაში, კუთვნილ პიედესტალზე. სხვებსაც ვურჩევდი - რაც მეტად იშრომებთ მიზნების განხორციელებისათვის, მით უფრო საპატიო ადგილს დაიმკვიდრებთ ცხოვრების გალერეაში.

**- რას ფიქრობთ ძილის წინ, საკუთარ თავს როგორ ადამიანად აღიქვამთ?**

- ძილის წინ სულ ვლოცულობ შვილზე, ოჯახზე და ყველა ჩემი მოკეთისთვის, საქართველოსა და მშვიდობისთვის. ალბათ უფრო სენტიმენტალური ვარ, თუმცა კონტაქტური, ერთგული და საოცრად ფიცხიც, სამართლიანობის მოყვარული და მოდის მიმდევარი, ონავარიც და დამთმობიც.

**- ლიტერატურისა და ხელოვნების აღიარებული და ნაკლებად ცნობილი წარმომადგენლებისადმი როგორია თქვენი დამოკიდებულება, ვინ მიგაჩნიათ თქვენს მეგზურად? თქვენს მეგობრად?**

- ვაღიარებ ყველას, ვინც ქმნის ჭეშმარიტად მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებებს. აქედან მრავალი უკვე აღიარებული ავტორია, ბევრიც ახლა იკაფავს გზას შემოქმედებით ლაბირინთებში. ბევრი კარგი ავტორი ვიცი, ვინც აუცილებლად იტყვის თავის ლიტერატურულ სათქმელს ჩვენს დროებაში. პოეტურ მეგზურს თუ გულისხმობთ, ჩვენი თაობა ჯერ კიდევ გალაკტიონის გაკვალული გზით მიდის, სხვა მეტრი ჯერჯერობით არ გვყავს. ვმეგობრობ ემილი დიკინსონის პოეზიასთან.

**- არჩევა რომ შესაძლებელი იყოს, რომელ დროში იცხოვრებდით - წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში? და რატომ?**

- ზემოთ ვთქვი, რომ ჩემი თაობა ომებში, ბრძოლებში, ბუნებრივ და პოლიტიკურ კატაკლიზმებში ჩაკარგული თაობაა. ხანდახან გული მწყდება, რომ ჩემმა ახალგაზრდობამ გაიარა იმ წლების რელსებზე, როცა სილაღე ვერ შევიგრძენით. ალბათ მომავალში ცხოვრება უფრო საინტერესო იქნებოდა. დაე, ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ უკეთეს მომავალში, ამითაც ბედნიერი ვიქნები.

**- თქვენი დამოკიდებულება ბუნებასთან როგორია?**

- მთაში გაზრდილს, სასწაულად მიყვარს ბუნება, ყვავილები, ანკარა ნაკადულები, ღელის პირები, ტყე, წვიმა და თოვლი, მზე და ვარსკვლავების ციმციმი, ციცინათელები და ჩიტები. მიყვარს, ბუნება, საოცრად მიყვარს.

**- ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც შვილს უნდა დავუტოვოთ... თქვენ რას უტოვებთ?**

- დედაშვილურ სიყვარულს დავუტოვებ და ორ დას (ჩემს წიგნებს ვგულისხმობ), რომლებიც მასავით მიყვარს. შესაძლოა, სხვა დაიკოებიც შევძინო.

**- კითხვა, რომელიც ხშირად გიჩნდებათ და რას უპასუხებთ ახლა?**

- საქართველოზე მეფიქრება, მინდა, მშვიდობიან და წარმატებულ ქვეყანაში ვიცხოვროთ. ალბათ ეშველება ჩემს ქვეყანას. ამ იმედით ვპასუხობ ჩემს თავს.

**- რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?**

- აჭარამ, ჩემმა უსაყვარლესმა ბათუმმა მაჩუქა სტუდენტური ლამაზი წლები. შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, ჩემი ყოფილა ლექტორები დღემდე დიდი სიყვარულით მახსენდება. იქ სამი წელი ვსწავლობდი. მახსენდება, ასევე, დიდებული პოეტების ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის მიერ წაკითხული ლექსები უნივერსიტეტის დარბაზში. ბევრი ტკბილი მოგონება კალეიდოსკოპის ულამაზესი ორნამენტებივით ამოენთო ჩემში. მინდა ამ გაზეთის საშუალებით მოვეფერო ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს აჭარაში, მოვეფერო ქათქათა ბათუმს იმ იმედით, რომ თუნდაც ერთხელ მომეცემა ჩემი პოეზიის საღამოს ბათუმში გამართვის შესაძლებლობა.

*„ბევრი დაბრკოლება გვხვდება ცხოვრებაში, ბევრიც - სიამე და ბედნიერება. უპირველესად, ის მასწავლა, რომ არ უნდა მოვდუნდე. მიზანსწრაფულობა და შრომისუნარიანობა ალამაზებს ცხოვრებას. ცხოვრებისეული ეს ორი პოსტულატი დიდად უწყობს ხელს ადამიანის დამკვიდრებას საზოგადოებაში, კუთვნილ პიედესტალზე. სხვებსაც ვურჩევდი - რაც მეტად იშრომებთ მიზნების განხორციელებისათვის, მით უფრო საპატიო ადგილს დაიმკვიდრებთ ცხოვრების გალერეაში*

# „მადლობის სიგელი“ – დავით გაბაიძეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნაში შეტანილი წვლილისა და პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის საქართველოს პარლამენტის „მადლობის სიგელით“ დაჯილდოვდა. სიგელი დავით გაბაიძეს ამავე კომიტეტის ხელმძღვანელმა მაია ბითაძემ გადასცა.



„საქართველოს პარლამენტმა აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა: „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 20 სექტემბერს მიიღო. საკანონმდებლო პაკეტი მაჭახელას ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ითვალისწინებს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

# ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლა - შუახევში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***60 წელზე მეტი ისტორია აქვს დაბა შუახევში არსებულ მუსიკალურ სკოლას. ახლა ის ა(ა)იპ «ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის» სტატუსით მუშაობს. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების დადგენილების საფუძველზე, მუსიკალური სკოლა და შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილება ერთი ფრთის ქვეშ გაერთიანდა. ახალი სამსახურის მიზნებსა და პერსპექტივებზე დირექტორი ნინო ბერიძე გვესაუბრება***

- მართლაც მისასალმებელი და სამომავლო საქმიანობაზე გათვლილი რეორგანიზაციაა «ხელოვნებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის» სკოლის სტატუსით მუშაობა. ჩვენი მთავარი მიზანი მომავალ თაობაზე ზრუნვა, მათი ნიჭის წარმოჩენაა. შუახევის სახელოვნებო სკოლის არსებობის ისტორიაში მრავალი ეზიარა მუსიკის ანბანს და მომავალი საქმიანობა მთლიანად მას დაუკავშირა. ჩვენი ვალია, გავაგრძელოთ ის გზა, რომელსაც სათავე შოთა ღოღობერიძემ, შალვა ზოიძემ, ოთარ გუნდაძემ, ნოდარ ფევაძემ, როგორც სკოლის ხელმძღვანელებმა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოვლინებულმა პედაგოგებმა დაუდეს სათავე.

**- ამ მიზანს რამდენად ამართლებთ?**

- ჩვენს მუშაობაზე სხვა რომ საუბრობდეს, უფრო უკეთესი იქნება. დღეს მცონარობას, გულგრილობას არავინ გვპატიებს. ერთხანს მიიჩნევდნენ, რომ მუსიკალური სკოლა, თუნდაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ვიღაც-ვიღაცების «თავშესაფარი» ან კიდევ გულის მოსაგები ობიექტები იყო. წელიწადში ერთხელ, ვალის მოხდის მიზნით, არაფრისმთქმელ ღონისძიებას გამართავდნენ და ყველაფერი ამით მთავრდებოდა. დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობამ სკოლა წარმოაჩინა და საქმესაც მეტი ფასი დაედო. ყველა საღვთო და საერო დღესასწაულზე, მასობრივ ღონისძიებებზე უკვე სცენაზე დგანან შუახევის სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლები. წელს ჩვენი სკოლის ანსამბლები მოსწავლეთა ოლიმპიადის დასკვნით ტურშიც მონაწილეობდნენ. დაბის მსგავსად, კარგი ანსამბლი ჩამოყალიბდა უჩამბის ფილიალში, რომელსაც წლებია მარინე ფევაძე ხელმძღვანელობს. ამაგს ვერ დავუკარგავთ ბუთურაულის, ხაბელაშვილების ფილიალების ხელმძღვანელებს. საზოგადოებას ის წლებიც კარგად ახსოვს, როცა ფილიალებში ელემენტარულ ცოდნას ვერ აძლევდნენ. ანსამბლების ჩამოყალიბება, მათთვის რეპერტუარის შერჩევა მთლიანად იგნორირებული იყო. საერთო უსულგულობამ დაბაში, სკოლის სხვა ფილიალებში მოსწავლეთა კონტინგენტიც შეამცირა. წელს უკვე 15-მდე მოსწავლეს მარტო დაბაში არსებულმა სკოლამ ელემენტარული მუსიკალური განათლება მისცა. გვაქვს ინფორმაცია, რომ 3 მათგანს სურვილი აქვს ცხოვრება მუსიკას დაუკავშიროს.

**- თავის დროზე, შუახევის მუსიკალურ სკოლას კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა...**

- ჩვენ მხოლოდ ერთი მუსიკალური ინსტრუმენტი - როიალი და ოჯახებში გაცემული პიანინოები დაგვახვედრეს. როიალის გატანასაც აპირებდნენ, მაგრამ რამდენიმე შუახეველი ამ ჩანაფიქრს წინ აღუდგა და უძვირფასესი ინსტრუმენტი სკოლას ასე შემორჩა. მატერიალურ ბაზაზე აღარაფერს ვამბობ. შენობის რეაბილიტაციაზე თანხები იხარჯებოდა, მაგრამ ძველს შესაკეთებელი და აღსადგენი არ გამოელევა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით ანსამბლის წევრებს ფორმები შევუძინეთ, განახლდა მუსიკალური ინსტრუმენტებიც. რეგიონული ბიუჯეტიდან 621 ათასი ლარი გამოიყო სკოლისთვის განკუთვნილი შენობის ასაგებად. პროექტი გარდამავალი იყო. სკოლის ხელმძღვანელობას, პერსონალს ახალი სასწავლო წლის დადგომა განსაკუთრებით გვახარებს. შპს «მიზანი» კეთილმოწყობილ, თანამედროვე სტანდარტების შესაფერის, ახალი მუსიკალური ინვენტარით შევსებულ შენობაში მუშაობას გვაღირსებს, რაც ხელისუფლების დიდ თანადგომად მიგვაჩნია.

**- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ერთ ხანს საქმიანობას არ უქებდნენ...**

- სახლი მატერიალური ბაზის სიმწირეს ნამდვილად განიცდიდა. მოსწავლეების ნამუშევრები ერთ პატარა ოთახშია განთავსებული და მნახველზე, დადებითი მუხტის ნაცვლად, უგემოვნობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დარბაზის ფართობსა და სცენის აღჭურვილობაზე საუბარი ხომ ზედმეტია. სახლში მოქმედი ჟურნალისტიკის, მხატვრული კითხვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურის, ქორეოგრაფიის, თეტრალური დასის წრეების ხელმძღვანელები საქმეს ხელს არ აკლებენ. რამდენიმე სიახლეს სათავე დაუდეს ვახტანგ გოგრაჭაძემ, თამარ ზოიძემ, ნანა შაინიძემ.



> ***„სახლი მატერიალური ბაზის სიმწირეს ნამდვილად განიცდიდა. მოსწავლეების ნამუშევრები ერთ პატარა ოთახშია განთავსებული და მნახველზე, დადებითი მუხტის ნაცვლად, უგემოვნობის შთაბეჭდილებას ტოვებს. დარბაზის ფართობსა და სცენის აღჭურვილობაზე საუბარი ხომ ზედმეტია. სახლში მოქმედი ჟურნალისტიკის, მხატვრული კითხვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ლიტერატურის, ქორეოგრაფიის, თეტრალური დასის წრეების ხელმძღვანელები საქმეს ხელს არ აკლებენ***

**- ახალ შენობაში მათ მუშაობას რა მიმართულება ექნება?**

- ადრე თანამშრომელთა მატერიალური ანაზღაურებაც მწირი იყო. შარშან სახელფასო ანაზღაურებამ მნიშვნელოვნად მოიმატა. 9 წრის ხელმძღვანელს მუშაობის გააქტიურებას მოვთხოვთ, შედეგსაც მოვკითხავთ... ის საქმეები, რომლებიც თავის დროზე გურამ არძენაძემ, მარინე შარაშიძემ, თამარ ქარცივაძემ გააკეთეს, გამდიდრებას ითხოვს. ჟურნალისტიკის წრის ხელმძღვანელებმა, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ მოსწავლეები გაააქტიურა. ამ წრის წევრმა მეგი გოგიაშვილმა უკვე ლექსების კრებულიც გამოსცა. ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ კონკურსებში.

**- შუახევში მუსიკალური განათლების პედაგოგების ნაკლებობა იყო...**

- ეს პრობლემაც თანდათანობით მოგვარდა. უკვე წამოვიდნენ ადგილობრივი ახალგაზრდა კადრები, რომლებსაც მინდობილი საქმისადმი მეტი მოტივაცია აქვთ და თვალი სხვაგან გადასვლაზე არ უჭირავთ. უჩამბის ფილიალში მარინე ფევაძემ, ლია ბერიძემ ანსამბლი ჩამოაყალიბეს, მოსწავლეები მუსიკალურ ინსტრუმენტებზე მელოდიებსაც კარგად ასრულებენ, თაობათა ცვლის პროცესსაც ალღო კარგად აუღეს.

**- პირველი ქალი ხართ, რომელსაც ჯერ მუსიკალური სკოლის დირექტორობა, შემდეგ ახლად შექმნილი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობა განდეს. ეს პასუხისმგებლობაა თუ გამოწვევა?**

- ერთიც და მეორეც. კვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, დედულეთში არსებულ მუსიკალურ სკოლაში ვაკანსია რომ გაჩდნა, კონკურსში ჩართვა გადავწყვიტე. მალე 10 წელს უკან მოვიტოვებ. ოჯახის შექმნა, ორი ვაჟის დედობა, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნა ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ამასთან, მსურს, საქმით ვუპასუხო იმ გამოწვევებს, რასაც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები თითოეულ ჩვენგანს გვაკისრებს და გვავალდებულებს. მახარებს, რომ ჩემი აღზრდილები უკვე სტუდენტები არიან.

**- ოჯახი, სამსახური, ორი შვილის გაზრდა იოლია არაა...**

- სადაც სიყვარულია, ერთსულოვნებაა, აზრთა თანხვედრაა, იქ მიზანიც ამართლებს. ჩემი და გურამის მშობლები, მეგობრები, თუნდაც თანამშრომლები ტვირთს მიმსუბუქებენ. მეორე შვილის გაჩენის შემდეგ სამსახურის დროებით მიტოვებაზე ფიქრი დავიწყე. ეს განზრახვა პირველად მეგობარს გავანდე. არ მომისმინა. ტვირთის გაორმაგების მიუხედავად, ისევ საყვარელ საქმესა და სკოლის ხელმძღვანელობას დავუბრუნდი.

**- მუსიკის ნიჭი უფლის მადლია...**

- გეთანხმებით. ორთაბათუმში დაბადებულსა და იქაურ სკოლაში დაფრთიანებულ გოგონას ჯერ კარგი პედაგოგები მყავდა, გარკვეული წინაპირობა ოჯახიდანაც მოდიოდა. ბაბუა - შუქრი ბერიძე კარგი მომღერალი იყო. ცეკვა-სიმღერის მოტრფიალენი დედის გვარშიც მრავლად მყავს. 4 დასა და ერთ ძმას შორის მე ვმღერი, გიგა კი კარგი მოცეკვავეა. სუფრასთან დებიც ამყვებიან ხოლმე. უფლის ბოძებული ნიჭი, მგონია, გონივრულად მოვიხმარე.

**- რაა მთავარი, კარგი მასწავლებლის სახელი რომ დატოვო?**

- მკრეხელობა იქნება, რომ გითხრათ, მოსწავლეები შვილებზე მეტად მიყვარს-მეთქი, მაგრამ მათზე ზრუნვას ხელს არ ვაკლებ. გაბრწყინებული თვალები, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში მე შემომცინებენ, ღალატს, უსულგულობას არ გაპატიებენ. მასწავლებლობა საუკეთესო, თანაც საპასუხისმგებლო პროფესიაა.

**- საყვარელი კომპოზიტორი...**

- ყველა მიყვარს. ქართველ კომპოზიტორებს მაინც ბადალი არ ჰყავთ, მათთან, მათ მუსიკასთან წილნაყრობა ყოველთვის დიდ პატივად მიმაჩნია.

**- ლიტერატურის კლასიკოსებიდან ქართველებს ამჯობინებთ, თუ...**

- წიგნის კითხვა ბავშვობიდან მიყვარს. მამა სუფრასთან რომ ზის, მაშინაც წიგნი უჭირავს და კითხულობს. ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში სპეციალობით ავტოინჟინერი მძღოლად რომ აიყვანეს, კოლეგებმა ზედმეტსახელად «პროფესორა» შეარქვეს. ოჯახში წიგნების ფასიც ვიცით და კითხვაც გვიყვარს. ახლაც ჩემთვის ყველაზე ძვირფას საჩუქრად წიგნი რჩება.

**- პროზა თუ პოეზია...**

- მუსიკოსის საქმიანობა ლექსის გარეშე წარმოუდგენელია. როცა ერს გაქვს ბალადა «ლექსი ვეფხისა და მოყმისა», გყავდა თემურ წიკლაური, ჰამლეტ გონაშვილი და ამ ერის ინტერესების დამცველი მუსიკოსი ხარ, პოეზიაც უნდა გიყვარდეს. საბედნიეროდ, მე ნოდარ დუმბაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის პროზის თაყვანისმცემელიც ვარ.

**- პიანინო, როიალი, თუ გიტარა...**

- გააჩნია, რომელთან გაქვს ხელმისაწვდომლობა.

**- რომელი უცხო ქვეყნები გიზიდავთ?**

- სადაც დიდი კომპოზიტორები დაიბადნენ და ცხოვრობდნენ. აუხდენელ ოცნებად მრჩება, მივუჯდე იმ როიალს, რომელზეც უდიდესი კომპოზიტორები კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებს პირველად ასრულებდნენ.

**- რას ვერ ჰგუობთ?**

- ტყუილსა და მეტიჩრობას. მინდა ისეთი კეთილი, სტუმართმოყვარე, ჯიშისა და ჯილაგის ინტერესების დამცველი, მინდობილი საქმის ერთგული ვიყო, როგორიც 80 წელს მიტანებული ნანული ბებიაა. იგი ამ ასაკშიც ჭრა-კერვასა და ქარგვას თავს ვერ ანებებს.

**- ყოველთვის გულახდილი ხართ?**

- ზოგჯერ ფიქრებიც მომეძალება ხოლმე. პირველად თქვენი გაზეთით ვამხელ საიდუმლოს, რომელიც ისევე არ დაიმალება, როგორც ცეცხლი თივაში - ვიწყებ აჭარაში მომუშავე რამდენიმე პოეტის, განსაკუთრებით როინ აბუსელიძის ლექსებზე მუსიკის წერას.

**- ლექსის წერა თუ გიცდიათ?**

- ეს ბავშვობისდროინდელი გატაცება იყო. ახლა მუსიკა მიტაცებს და ბოლომდე მინდა მას ვუერთგულო.



# დარდობს მომავალი პენსიის, ამ ქვეყანაში უპერსპექტივობისა და პოლიტიკოსთა გაუმაძღრობის გამო

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი თეატრის მკვლევარი და კრიტიკოსი* ***ლაშა ჩხარტიშვილია.*** *ის საკუთარ განცდებზე, შესაძლებლობებსა და მოგონებებზე გულწრფელად გვესაუბრება.*



- **შემიძლია** - ყოველთვის ნულიდან დავიწყო ცხოვრება, სწავლა, სამსახური, შევიცვალო პროფესია. ბევრი რამ შემიძლია, მაგრამ მეჩვენება, რომ ზოგჯერ აზრი არ აქვს, რა, როგორ და რამდენი შეგიძლია.

- **არ შემიძლია** - უსაქმურად ყოფნა, პასიური დასვენებაც კი. ხშირად გაჩუმებაც არ შემიძლია - როცა ვგრძნობ, რომ მოვალე ვარ, ვთქვა, ვამბობ.

- **მაღიზიანებს** - სიყალბე და ფარისევლობა, მკვეხარა ადამიანებიც, ბევრი კვამლი და უსაშველო ხმაური სპექტაკლში, დაუსრულებელი სპექტაკლიც, ასევე, გაურკვეველი ურთიერთობები.

- **ვგრძნობ** - დიდხანს არაფერი შეიცვლება ჩვენს მენტალობაში, ტრადიციებში, მსოფლმხედველობაში.

- **მეშინია** - ჯანმრთელობის პრობლემების, ექიმთან მისვლის, რადგან შესაძლოა უამრავმა პრობლემამ იჩინოს თავი - ექიმის არაპროფესიონალიზმით დაწყებული, ჯანმრთელობის რეალური მდგომარეობით დამთავრებული. იმდენად დაბინძურებულია გარემო, რომ შეგრძნება მაქვს, ყოველდღიურად ვყლაპავ სიკვდილს. წაგვლეკა არაპროფესიონალმა და უპასუხისმგებლო ექიმებმა. სულ მეფიქრება და ვბრაზობ, რატომ რჩებიან დაუსჯელი ის ექიმები, რომელთა შეცდომამ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა?!

- **ვმეგობრობ** - ყველასთან, ვისთანაც სასარგებლოა მეგობრობა. თუ ადამიანთან კომფორტულად ვარ, მასთან ურთიერთობა სიამოვნებაა და მაშინ ის სასარგებლოცაა. უსარგებლო, არაკომფორტულ და ბოროტ ადამიანებთანაც ვმეგობრობ, იმათთანაც, ვისთან მეგობრობაც ბევრი მიზეზის გამო არ შეიძლება და დამღუპველიცაა, მაგრამ მაინც ვმეგობრობ.

- **ვეძებ** - ახალს, განსხვავებულს, ჩემთვის უცნობს.

- **ღირსი ვარ** - ვცხოვრობდე უკეთ, მეტ კომფორტში, ვიდრე ახლა, რადგან ეს ნამდვილად დავიმსახურე იმიტომ კი არა, რომ რამე მნიშვნელოვანი შევქმენი, არამედ იმიტომ, რომ ადამიანი, რომელიც დღეში 16 საათს მუშაობს, თავს უნდა გრძნობდეს ღირსეულად და დაფასებულად.

- **ვჩხუბობ** - მომსახურე პერსონალთან. ჩვენთან, თითქმის ყველა დაწესებულებაში, როცა გემსახურებიან, გამადლიან, თითქოს მისი ვალი გაქვს. პასუხისმგებლობაზე, დაგვიანებაზე, პირობის შეუსრულებლობაზე ვჩხუბობ.

- **ვკარგავ** - ქუდებს, შარფებს. შარშან ზამთარში 7 ქუდი და 4 შარფი დავკარგე. ადამიანებსაც ვკარგავ, ვდარდობ, მაგრამ არ ვნანობ - დასაკარგი უნდა დაიკარგოს.

- **მშურს** - იმათი, ვინც სტაბილურ და განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც კანონი კანონობს, ადამიანის უფლებები დაცულია. მშურს მათი, ვინც საკუთარ პროფესიულ ზრდაზეა ორიენტირებული და არა არსებობისთვის ბრძოლაზე.

- **ვიცი** - დიდხანს არაფერი გვეშველება.

- **არ ვიცი** - როდის, როგორ და სად წავიდე საცხოვრებლად. არ ვიცი, როგორ ვიშოვო ბევრი ფული, როგორც ეს ჩვენ ირგვლივ იშოვეს სხვებმა. ამ ცოდნაზე არ მიმიწვდება ხელი.

- **ვემალები** - შურს და ყველანაირ ვირუსს.

- **ვემტერები** - გჯერათ, რომ არავის? საერთოდ, არ ვიცი მტრობა. შესაძლოა, ვიღაც არ მეპიტნავებოდეს და ასეთი რამდენიმეა, მაგრამ მათი მტერი არ ვარ. ამ მხრივ „ცუდი“ თვისება მაქვს - მიმტევებელი ვარ.

- **მაინტერესებს** - როდის გაგვეზრდება ხელფასი, როცა ყოველდღიურად გვიძვირდება ცხოვრება?

- **არ მაინტერესებს** - პოლიტიკა, ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის სფეროები.

- **ვტირი** - ხშირად, ფილმებსა და სპექტაკლებზე, მათ შორის, კომედიებზეც, არ მეშლება, ტრაგედიებზეც, მაგრამ მე კომედიებზეც ვტირი.

- **ვიცინი** - ჯანსაღ იუმორზე.

- **ველოდები** - უკეთეს მომავალს, ჩემს რიგს.

- **მახსოვს** - ბნელი 90-იანები, შევარდნაძის ეპოქის კორუფცია, როგორ ითხოვდნენ ლექტორები ჩათვლა-გამოცდებზე ფულს, ვის რა სიკეთე და ბოროტება აქვს ჩადენილი ჩემთვის.

- **მრცხვენია** - იმ ქართველების, რომლებიც თვითმფრინავში ეწევიან სიგარეტს, ეფლირტავებიან სტიუარდესას, არ ემორჩილებიან უსაფრთხოების წესებს. ერთხელ სტამბოლიდან ლონდონამდე ვიმგზავრე კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან ერთად. ყველა საერთაშორისო ენაზე გამოაცხადეს, დაბრძანდით ხომალდის გაჩერებამდეო, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინეს მინისტრის მრჩეველს და ბოლოს ქართულად მიმართეს. მაშინ ძალიან შემრცხვა.

- **უარვყოფ** - ნებისმიერ ძალადობას.

- **ავადვმყოფობ** - მგონი, ჯანმრთელი ვარ.

- **ვმალავ** - ჰო, რაღაცებს ვმალავ, მაგრამ ყველასთან არა, რადგან, ბოლომდე დამალვა არ გამომდის და არ შემიძლია. რატომ ვმალავ? თქვენ გამო, ჩემ გამოც.

- **ვინახავ** - ყველაფერს, რაც წარსულს და დაკარგულ მეგობრებს უკავშირდება. სხვათა შორის, მენაგვეს მეძახიან იმის გამო, რომ ვინახავ უმნიშვნელო და არაფასეულ ნივთებს, საგნებს, მაგრამ ისინი ჩემი წარსულის და დაკარგული ან მიმდინარე ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია, ერთგვარი მემატიანე.

- **მწამს** - მხოლოდ საკუთარი თავის და სამყაროს ბალანსის წესის.

- **მიკვირს** - თითქოს აღარაფერი მაკვირვებს, მაგრამ მაინც მიკვირს იმ ადამიანების, რომლებსაც თანამდებობა მეორე დღესვე ცვლის.

- **მიხარია** - ჩემი და სხვების წარმატება, ბედნიერი სახეების და ადამიანების დანახვა.

- **ვჭორაობ** - თითქმის ყოველდღე, როგორც წესი.

- **ვდარდობ** - ჩემი მომავალი პენსიის, ამ ქვეყანაში უპერსპექტივობის და პოლიტიკოსების გაუმაძღრობის გამო.

- **ვაპროტესტებ** - თითქმის ყველაფერს, რაც უსამართლოდ მიმაჩნია.

- **ვამაყობ** - ჩემი წარსულითა და აწმყოთი, შვილით, მეგობრებით, ოჯახით. თუ რამეს წარმოვადგენ, ეს ოჯახის დამსახურებაა, რადგან ღირებულებებია აქ მთავარი. ეს ჩემს ოჯახში სულ იყო და იქნება, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი.

- **ვაკეთებ** - რაც მინდა. შეიძლება ამით ახლობლებს გულს ვტკენ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია.

- **ვეფერები** - ბავშვობის მოგონებებს და ჩემი ბავშვობის ბათუმს. ის ბათუმი მაინც სხვა იყო - ჩემი. ახლა მე მისი სტუმარი ვარ და ამაზე გული ძალიან მწყდება.

- **მსიამოვნებს** - ქება! რა, თქვენ არა? სულ რომ ყალბი იყოს, მაინც გსიამოვნებს. მსიამოვნებს, როცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შევდივარ და თვალს მოვკრავ უცნობ სტუდენტს, რომელიც ჩემს რომელიმე წიგნს ამუშავებს.

- **მესიზმრება** - იშვიათად ვხედავ სიზმრებს.

- **ვეხმარები** - ყველას, როგორც შემიძლია.

- **ვეწევი** - ბედნიერებას და სიყვარულს.

- **მწყინს** - გაუაზრებელი პასუხები, უპასუხისმგებლო განცხადებები ჩემზე, როცა არ მითვალისწინებენ.

- **ვხარჯავ** - უზარმაზარ ენერგიას იმაზეც, რაზეც არ უნდა ვხარჯავდე.

- **ვღალატობ** - დიეტასა და სიგარეტის მოუწევლობაზე დადებულ ფიცს.

- **ვკამათობ** - ხშირად, ეს ჩემი სფეროა, მომწონს, რადგან კამათისას მართლა შეიძლება მნიშვნელოვანი აზრის მოსმენა.

- **ვუხეშობ** - როცა ცუდ ხასიათზე ვარ და მინანია კიდეც. ზოგჯერ არც მინანია.

- **ვუსმენ** - კლასიკურ მუსიკას, ბევრჯერ საგანგებოდ ვეძებ ანიტა რაჭველიშვილის ნამღერს, რომ მოვისმინო და უდიდესი სიამოვნება მივიღო. ვუსმენ უკიდურეს „პაპსა“ ესტრადასაც, ქართველი შემსრულებლების საეჭვო მხატვრული ხარისხით ნამღერსაც, განწყობას გააჩნია. ეგრეთ წოდებულ მარშრუტკის და ქორწილის სიმღერებს არ ვუსმენ.

- **ვყოყმანობ** - ვუპასუხო თუ არა იმათ, ვინც ბოროტებას აფრქვევს.

- **ვკითხულობ** - ყოველდღიურად, ყველაფერს - ქუჩის აბრებიდან დაწყებული, სამეცნიერო ლიტერატურით დამთავრებული.

- **ვამზადებ** - მშვენიერ კერძებს და ისეთ ბათუმურ ყავას, რომელსაც თბილისში ვერსად დალევთ ჩემი სახლის გარდა.

- **ვუყურებ** - „ჩცდ“-ს, ამერიკულ სერიალებს, ხოცვა-ჟლეტას „ფეისბუქზე“. ვაკვირდები და ვაანალიზებ, ვეცნობი ადამიანებს სხვა კუთხით.

- **ვცხოვრობ** - ჩემი შვილისთვის - თეკლასთვის.

- **ვყვირი** - ატრაქციონებზე. ლექციებზე არ ვყვირი, არც სახლში.

- **ვმღერი** - როცა ნასვამი ვარ.

- **ვასრულებ** - ყველა დავალებას პირნათლად, როგორც შემიძლია, ისე.

- **დავდივარ** - ყველგან, სადაც მიწვევენ. იქაც დავდივარ, სადაც არ მიწვევენ, მაგრამ მე მაინტერესებს.

- **ვმკურნალობ** - დეპრესიას.

- **ვთამაშობ** - სამწუხაროდ, ვერაფერს, ვერც ცხოვრებას, ვერც კომპიუტერულ თამაშებს და ვერც რომელიმე როლს ვირგებ. სხვების ნერვებზე ვთამაშობ.

- **ვიტყუები** - როცა მინდა გაბუტულები შევარიგო.

- **მიყვარს** - პროფესიონალებთან, ღირსეულებთან და პროფესიის ერთგულ ადამიანებთან ნებისმიერი ურთიერთობა.

- **ვოცნებობ** - სულიერ სიმშვიდეზე.

- **ვფიქრობ** - ბევრს, სულ, ბევრზე.

- **კმაყოფილი ვარ** - ცხოვრებაში გაკეთებული ყველა არჩევანით.

- **მენატრება** - ჩემი შვილი თეკლა, სტუდენტობის წლები.

# ლიდერის როლი – პროფესიული განათლების რეფორმების წარმატებაში

მე-2 გვერდიდან

ლიდერის იმ თვისებებზე, კომპეტენციებზე, რომელიც აუცილებელია, რომ პირველადი რგოლი, რასაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ჰქვია, აღმოჩნდეს სწორი მიმღები და განმახორციელებელი სახელმწიფო პოლიტიკისა, რომელიც ჩვენ პროფესიულ განათლებაში მნიშვნელოვნად განვავითარეთ. ამ კონფერენციით არ დასრულდება აღნიშნულ თემებზე საუბარი, ამით გაგრძელდება საუბრები, რასაც დაეფუძნება ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულების დანერგვა სახელმწიფოს დონეზე, - განაცხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე კახაბერ ერაძემ.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ვორქშოფი თემაზე: „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ლიდერის კომპეტენციათა ჩარჩო ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“, რომელსაც მოდერაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული დეპარატამენტის ხელმძღვანელმა თამარ კვინიკაძემ და ჟურნალ „პროფესიული განათლების“ დამფუძნებელმა ნინო ელბაქიძემ გაუწიეს.

# საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი ერთობლივ კომპანიას ქმნიან



„ინტერფაქს-აზერბაიჯანის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ყაზახეთის ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურული განვითარების მინისტრმა მარატ კარაბაევმა განაცხადა, რომ საქართველო მალე შეუერთდება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრების მიერ ბაქოში ხელმოწერილ შეთანხმებას ერთობლივი ლოგისტიკური კომპანიის შექმნის შესახებ, რომელიც ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს (TITR) მოემსახურება.

მისი თქმით, ერთობლივ კომპანიას სამი ქვეყანა - ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ქმნიან. ერთობლივი ლოგისტიკური კომპანია ტარიფების გაერთიანებასა და TITR-ზე ყველა ტვირთის დამუშავებაზე იმუშავებს, ხოლო მთავარი ამოცანა ჩინეთსა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვის ყველა პროცედურის მაქსიმალური გამარტივებაა.

მარატ კარაბაევის თქმით, „თუ ადრე მარშრუტზე საქონლის მიწოდების დრო 53 დღე იყო, დღეს ის 18-23 დღემდე შემცირდა, ხოლო ახალი კომპანიის საქმიანობით მიწოდების დრო წელს 18 გარანტირებულ დღემდე, შემდეგ კი 10-15 დღემდე შემცირდება“. ხელმოწერილი დოკუმენტი ამ სატრანსპორტო დერეფნის, კერძოდ, მასზე გამავალი სატვირთო ნაკადის მაქსიმალურ გაციფრულებასაც ეხება, რის განსახორციელებლად მსხვილი საერთაშორისო ინვესტორების მიზიდვა იგეგმება.

**ამირან ბურიელიძე**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/06/23, 20 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატი საქართველომ გამარჯვებით დაიწყო

*21 ივნისს, ორ ქვეყანაში - საქართველოსა და რუმინეთში ევროპის 24-ე ჩემპიონატი 21-წლამდე ფეხბურთელთა შორის ოფიციალურად გაიხსნა. ეს მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ფეხბურთისა და სპორტის ისტორიაში, რადგან საქართველო, რუმინეთთან ერთად, პირველად გახდა ასეთი დიდი სპორტული ფორუმის თანამასპინძელი*

ჩვენი ყურადღება, რა თქმა უნდა, მიმართული იყო თბილისისკენ, სადაც „დინამო არენაზე“ ერთმანეთს პორტუგალიისა და საქართველოს ნაკრებები ხვდებოდნენ.

საქართველოში ჩემპიონატს სამი ქალაქის ოთხი სტადიონი - თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“ და მიხეილ მესხის „ლოკომოტივი“, ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი და ბათუმის „აჭარაბეთ არენა“ მასპინძლობს. ფინალი, 8 ივლისს, სწორედ ბათუმში შედგება.

ეს იყო პირველი მატჩი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ევროპის




ჩემპიონატი ოფიციალურად სწორედ ამ მატჩით გაიხსნა. მატჩის დაწყებამდე ჩემპიონატის ოფიციალური და საზეიმო გახსნა შედგა. ეს იყო რეჟისორ ლაშა ონიანის მიერ დადგმული სანახაობრივი ცერემონია.

პორტუგალიისა და საქართველოს ჰიმნები მომღერლებმა ელენე კალანდაძემ (პორტუგალიის) და ნოდიკო ტატიშვილმა (საქართველოს) ცოცხლად შეასრულეს, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ არხზე გადაიცემოდა და, საერთოდაც, საქართველოში ჩატარებულ ყველა მატჩს სწორედ ეს არხი და ამავე ტელევიზიის სასწავლო არხი უჩვენებენ ყოველდღიურად.

ძალიან ძლიერი მეტოქე შეგვხვდა პირველივე დღეს, პორტუგალია ევროპის წინა ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონია და ამიტომ ყველა საინტერესო თამაშის მოლოდინში იყო.

რა თქმა უნდა, მწვრთნელ რამაზ სვანაძის აღზრდილების პირველი შეხვედრის შედეგით ქართველმა გულშემატკივარმა გულით გაიხარა, რადგანაც პორტუგალიის ნაკრები არა მხოლოდ ჩვენს ჯგუფში ითვლება ძლიერ მეტოქედ, არამედ, ზოგადად, ჩემპიონატზე.

როგორც ცნობილია, მატჩი ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებით, ანგარიშით - 2:0 დასრულდა. ორივე გოლი ჩვენებმა პირველ ტაიმში გაიტანეს. გიორგი წიტაიშვილის პასით ანგარიში გიორგი გაგუამ გახსნა, შემდეგ კი საბა საზონოვმა აიღო პორტუგალიელთა კარი ისევ გიორგი წიტაიშვილის ჩაწოდებული კუთხურიდან. 22 ივნისს „აჭარაბეთ არენამ“ უმასპინძლა ინგლისისა და ჩეხეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას.

დღეს, 24 ივნისს, ერთმანეთს საქართველოსა და ბელგიის ნაკრები გუნდები ხვდებიან, ხოლო 27 ივნისს ჩვენები ნიდერლანდების წინააღმდეგ ითამაშებენ.

# აჭარის მკლავჭიდელთა 6 ოქრო და 5 ვერცხლი - საერთო ყულაბაში

***საქართველოს მკლავჭიდელთა და პარამკლავჭიდელთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც მოლდოვის დედაქალაქმა უმასპინძლა***

ჩვენმა სპორტსმენებმა კიშინიოვში ჩატარებულ ამ მნიშვნელოვან სპორტულ ფორუმზე სულ 45 ოქროს, 48 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. სასიხარულოა, რომ ჩვენი სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაშიც პირველ ადგილზე გავიდნენ და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრეს.

რაც შეეხება აჭარის წარმომადგენლებს, საქართველოს ნაკრებში ჩვენი ექვსი სპორტსმენი ასპარეზობდა და მათგან ხუთი წარმატებით გამოვიდა. მათი მონაგარი ექვსი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალია.

ჩვენს სპორტსმენებს - მარი ნოდიას, მარინე ფუტკარაძეს, მარიამ აბაშიძეს, ზვიად სულიკაშვილს, ნათია ჩხაიძეს წარმატება მიულოცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ, სამინისტროსა და დეპარტამენტის წარმომადგენლებმა.



როგორც ევროპის ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის (მარჯვენა და მარცხენა მკლავში), ევროპის ვიცე-ჩემპიონმა დიდებში (სენიორებში) მარი ნოდიამ გვითხრა, საკუთარი შედეგით კმაყოფილია, რადგან რთული იყო დიდი ხნის პაუზის შემდეგ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე გამოსვლა, მაგრამ მან მაინც შეძლო გამარჯვება.

- სპორტსმენებთან შეხვედრა ყოველთვის ამაღელვებელია - მკლავჭიდში ჩვენმა სპორტსმენებმა და პარასპორტსმენებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს - ექვსიდან ხუთმა სპორტსმენმა მარჯვენა და მარცხენა ხელით იასპარეზა და სულ 11 მედალი მოგვიპოვა, ამ შედეგით კი გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს, - გვითხრა ირმა ნიჟარაძემ.

- იცით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი დავიკელი წონაში, დაახლოებით 17-18 კილოგრამი და ამიტომ თავიდან გამიჭირდა ასპარეზობა. სხვა მხრივ, კარგად მოვემზადე და გამარჯვებაშიც დარწმუნებული ვიყავი, რადგან, რაც მსოფლიო ჩემპიონატიდან დავბრუნდი, არ გავჩერებულვარ, სულ ვვარჯიშობდი, კონკურენცია საკმაოდ დიდი იყო - იქ ყველა ძლიერი სპორტსმენი მონაწილეობს, მაგრამ წარმატებას მივაღწიე და, რა თქმა უნდა, მიხარია, - თქვა პარაოლიმპიელმა, ევროპის ჩემპიონმა ზვიად სულიკაშვილმა.

ამჟამად ჩვენი მკლავჭიდელები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც აგვისტოში ყაზახეთი უმასპინძლებს.

# მესამე ევროპულ თამაშებზე...

***21 ივნისს პოლონეთის ქალაქ კრაკოვის ჰენრიკ ვაიმანის სახელობის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა მესამე ევროპული თამაშები***

სტადიონზე წარმოდგენილი შოუ საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო. მაყურებელი მას იქვე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზეც ადევნებდა თვალს. შეკრებილთ სიტყვით პოლონეთის მალოპოლსკას მხარის ხელმძღვანელმა ვიტოლდ კოზლოვსკიმ, კრაკოვის მერმა იაცეკ მაიხროვსკიმ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა, პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ მიმართეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი თამაშებს არ ესწრება. მისი ვიდეომისალმება ეკრანზე აჩვენეს. ოლიმპიური ჩირაღდანი ვეტერანმა სპორტსმენებმა აანთეს.

საზეიმო გახსნას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე იოსებ ბალათურია და მთავრობისა და სპორტის სფეროს სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 16 ოლიმპიურ სახეობაში 107 ქართველი იასპარეზებს.

საზეიმო აღლუმზე საქართველოს დელეგაციას ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე და მშვილდოსანი ციკო ფუტკარაძე მოუძღვებოდა.

უკვე ცნობილია, რომ კანოისტებიდან ზაზა ნადირაძემ 2000 მეტრზე სპრინტში ყველას აჯობა და ფინალში როგორც ლიდერი იასპარეზებს.



# თემურ სამხარაძის წარმატება

***მალტაში გამართულ კლასიკური ძალისმიერი სამჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე, ღია ასაკობრივ კატეგორიაში, 22 წლის სპორტსმენმა, რომელიც ევროპის აბსოლუტური რეკორდსმენია, პირველად მოსინჯა შესაძლებლობები დიდებში და წარმატებასაც მიაღწია. მან სამჭიდის ჯამში ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო ცალკეულ მოძრაობაში - ამოწევაში 382,5 კილოგრამი დააფიქსირა და პირველი ადგილი დაიკავა***

ქობულეთის რაიონის სოფელ ჯიხანჯურის მკვიდრი თემურ სამხარაძე უკვე ორგზის ევროპის ჩემპიონია. მან ჩაჯდომში 403 კილოგრამი დააფიქსირა, რითაც მოხსნა როგორც ევროპის 23-წლამდელთა, ისე დიდების რეკორდიც. სამჭიდის ჯამში მან 982,5 კილოგრამი დააგროვა და აქაც როგორც 23-წლამდელთა, ისე დიდებშიც ევროპის რეკორდი დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ თემურ სამხარაძემ ამ შედეგით ქართული სამჭიდის ისტორიაში საქართველოს პირველი მედალი მოუტანა.

სპორტსმენს წარმატება მიულოცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ, სამინისტროსა და დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე სპორტსმენმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

- პირველად გამოვედი დიდების ჩემპიონატზე. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. გავხდი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ამოწევაში



მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დავისაკუთრე და ოქროს მედალი მოვიპოვე. აგვისტოში მსოფლიო ჩემპიონატზე ვიასპარეზებ ახალგაზრდებს შორის, ოქტომბერში კი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მელოდება, დეკემბერში ისევ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვალ დიდებში და, რა თქმა უნდა, ამისთვის სათანადოდ მოვემზადები, - თქვა თემურ სამხარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შეეცდება მისივე დამყარებული რეკორდები განაახლოს.

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სპორტის ამ სახეობის, კერძოდ, ათლეტიზმის განვითარება აჭარაში. თემურ სამხარაძის როლი ამაში საკმაოდ წონადია, რადგან ის მოქმედი ევროპის ჩემპიონი, ასევე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია, ერთ-ერთ სახეობაში ოქროც მოიპოვა. ძალიან იმედიანად ვართ და გვჯერა, რომ მისი ეს წარმატებები ამ სახეობაში უფრო მეტ ახალგაზრდას დააინტერესებს და უფრო მეტი მიმდევარი ეყოლება, - აღნიშნა ბადრი ნაკაშიძემ.

**გვერდი მოამზადა მანანა ძიძიშვილმა**